



ვაქციოთ გლობალური მიზნები
ადგილობრივ ბიზნესად



მომავალი მზვანე და ინკლუზიურია

აღმოსავლეთი ევროპა





Global Compact
Network Georgia



შვედეთი
Sverige

პუბლიკაცია მომზადდა გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, გაეროს გლობალურ შეთანხმებასთან და აღმოსავლეთ ევროპაში გლობალური შეთანხმების ადგილობრივ ქსელებთან თანამშრომლობით.



მოკლე მიმოხილვა

ვაქციოთ გლობალური მიზნები ადგილობრივ ბიზნესად – საქართველო (Making Global Goals Local Business – Georgia) იყო პლატფორმა ბიზნეს-ლიდერების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინსტიტუტებისა და ხელისუფლებისთვის, მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით დიალოგის ხელშეწყობის, ახალი თანამშრომლობების ჩამოყალიბებისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების მოსინჯვის მიზნით. ეს ხელს შეუწყობს პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას მდგრადი განვითარების ძირითად საკითხებთან დაკავშირებით და შესაძლებლობების აღმოჩენას ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის გასატარებლად, რომელიც, პარიზის შეთანხმების შესაბამისად, დააჩქარებს ნახშირბადის ნულოვანი ემისიის ეკონომიკის ზრდას აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში. 2021 წლის 25-26 მარტს გამართული ღონისძიების თემა იყო „მომავალი მწვანე და ინკლუზიურია“ და მასში მონაწილეობას იღებდნენ კერძო სექტორის, ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

ღონისძიების შემდეგ, გლობალური შეთანხმების საქართველოს, უკრაინის, ბულგარეთის, სერბეთის, ჩრდილოეთ მაკედონიის, ხორვატიის, რუსეთის, პოლონეთისა და თურქეთის ქსელებმა თავი მოუყარეს სიტუაციურ მაგალითებს, რომლებიც წარმოაჩენს კერძო სექტორში განეულ სამუშაოს ნახშირბადის ემისიის მნიშვნელოვანი შემცირებისა და სუფთა ენერჯის წყაროებზე გადასვლის დაჩქარების მიმართულებით. გლობალური შეთანხმების რეგიონული ქსელების თანამონაწილეობით მომზადებულ წინამდებარე პუბლიკაციაში თავმოყრილი მაგალითები ასახავს აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მზარდ ტენდენციას ნახშირბადის ნულოვან ემისიასა და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლაზე.

ტერმინები

ASI	ალუმინის კონტროლის ინიციატივა
CCUS	ნახშირორჟანგის ჩაჭერა, მოხმარება და შენახვა
CO₂	ნახშირორჟანგი
CSR	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
EMD	მოხმარების კონტროლის ელექტრონული მონაცემები
EOR	ნავთობის მოპოვების ინტენსიფიკაცია
ESG	ეკოლოგიური, სოციალური და მმართველობითი
ESMS	ეკოლოგიური და სოციალური მართვის სისტემა
ESS	სამრეწველო ენერჯის შენახვის სისტემა
EU	ევროკავშირი
EV	ელექტრომობილი
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
GHG	სათბურის აირები
GRI	ანგარიშგების გლობალური ინიციატივა
HC	ნახშირწყალბადიანი სამაცივრო მონაცემები
HFC	ნახშირწყალბადიანი სამაცივრო მონაცემები ფთორნახშირწყალბადები
IAEA	ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
LED	შუქდიოდი
LME	ლონდონის ლითონების ბირჟა
MSMEs	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები
RDF	მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან მიღებული საწვავი
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNEP	გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა
WANO	ბირთვულ ოპერატორთა მსოფლიო ასოციაცია
WWF	ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი

სპირაღ დასმული კითხვები

**როგორ გავწევრიანდეთ გაეროს გლობალურ
შეთანხმებაში (UN GLOBAL COMPACT)?**

გაეცანით განაცხადის გაკეთების პროცესს

**როგორ შემიძლია ვინაიტიურო
ადგილობრივ დონეზე?**

გაარკვიეთ, როგორ შეგიძლიათ ჩაერთოთ
ადგილობრივ დონეზე

**რა გლობალური
შესაძლებლობები არსებობს?**

გლობალური ჩართულობის გზები

**რას წარმოადგენს პროგრამა
“SDG AMBITION”?**

გაიგეთ მეტი

**რას წარმოადგენს პროგრამა
„CLIMATE AMBITION ACCELERATOR“?**

გაიგეთ მეტი

**რას ნიშნავს მეცნიერებაზე
დაფუძნებული მიზნების ინიციატივა?**

გაიგეთ მეტი

**რას ნიშნავს კომუნიკაცია
პროგრამის შესახებ (COP)?**

გაიგეთ მეტი

შესავალი

ლონისძიება - ვაქციოთ გლობალური მიზნები ადგილობრივ ბიზნესად - საქართველო, მომავალი მწვანე და ინ-კლუზიურია, გაიმართა გადამწყვეტ დროს აღმოსავლეთ ევროპის მშვიდობიანი, წარმატებული მომავლისა და მისი უფრო მწვანე და სამართლიან ეკონომიკად და საზოგადოებად გარდაქმნის მიზნით.

კოვიდ-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა წარმოაჩინა წიაღისეულზე დამყარებული სექტორების სისუსტეები და ქვეყნების მდგრადობის შექმნის აუცილებლობა ნაცრისფერი ეკონომიკიდან მწვანე ეკონომიკად გარდაქმნის დაჩქარების გზით. მსოფლიოსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ესაჭიროებათ საფუძვლიანი გარდაქმნა პარიზის შეთანხმების შესაბამისად გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების მიზნით. ვალდებულებები და პო-ლიტიკა თანხვედრაში უნდა იყოს სოციალურ სამართლიანობასთან, რაც უზრუნველყოფს ღირსეული და ხა-რისხიანი სამუშაო ადგილების შექმნას და გააძლიერებს ინსტიტუციურ შესაძლებლობებს კლიმატის მიმართ მედეგი ინფრასტრუქტურის შექმნის მხრივ. ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს წიაღისეული სანვავიდან გა-ნახლებადი ენერჯის წყაროებზე გადასვლის აღიარებით.

ევროპულმა საზოგადოებებმა, კერძო სექტორმა, საფინანსო ინსტიტუტებმა და მთავრობებმა ერთობლივად უნდა იმუშაონ, რათა თავი გაართვან კოვიდ-19-ით შექმნილ უპრეცედენტო გამოწვევებს. საერთაშორისო ბაზ-რების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებას, მწვანე ეკონომიკაში ინვესტიციების განხორციელებას, მდგრადი ფი-ნანსების ხელშეწყობას, კორუფციის აღმოფხვრას, სოციალურად სამართლიანი გარდაქმნის მიმართულებით მუშაობას და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის გაძლიერებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმატებისთვის და იმისათვის, რომ არავინ დარჩეს განვითარების პროცესის მიღმა.

პანდემიამ შეგვახსენა, რომ ჩვენი საერთო კეთილდღეობა თითოეულ ადამიანზე დამოკიდებულია. აღმოსავ-ლეთ ევროპის რეგიონის სიმტკიცე სასიკეთოა 2030 წლის დღის წესრიგისთვის. მოხერხებულობა და ეკონო-მიკური თვითკმარობა დაგვცხმარება არ გადაუხვითოთ 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგით გათვალისწინებულ მიზნებს მომდევნო ათწლეულის განმავლობაში და უზრუნველყოთ ევროპის მწვანე შეთან-ხმების წარმატება.

მომავალი ნახშირბადის ემისიის გარეშე კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ორიენტირად იქცა და ამას მყარი საფუძველი აქვს. კლიმატის ცვლილებაზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად საჭიროა ეკონომიკის ყველა სექტორში შეწყდეს ნახშირბადის ემისია და დაჩქარდეს სუფთა ენერჯის წყაროებზე გადასვლა. 2030 წლისთვის უნდა განახევრდეს სათბურის აირების ემისია, ხოლო ემისიის ნულოვანი დონე მიღწეული უნდა იქნეს 2050 წლისთვის. ამ ძირითადი მიზნის შესასრულებლად, გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერესი საერთაშორისო საზოგადოებას სხვადასხვა დარგში ერთობლივი მუშაობისკენ მოუწოდა. გაეროს გლობალური შეთანხმება წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებული მიზნების ინიციატივის (Science Based Targets Initiative) დამფუძნებელ პარტნიორს, რომელიც მუშაობს ნულოვანი ემისიის კომერციული პრაქტიკის პირველ გლობალურ სტანდარტზე. ამავე დროს, იგი მხარს უჭერს ბიზნესის მიზანს - 1,5°C კამპანიას, რაც ბიზ-ნესსექტორს ემისიის შემცირების აბსოლუტური მიზნების დასახვისკენ მოუწოდებს, 2050 წლისათვის ნულოვანი გლობალური ემისიის მიზნის შესაბამისად. მთელი მსოფლიოს მასშტაბით 600-ზე მეტმა კომპანიამ, რომელთა ბაზრის კაპიტალიზაცია 13 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს, ხელი მოაწერა 1,5°C-იანი მომავლის კამპანიას. მათ შორის არიან რიგი კომპანიები აღმოსავლეთ ევროპის რეგიონიდან (იხ. დანართი).

მიუხედავად იმისა, რომ კერძო სექტორი სულ უფრო მეტ ინტერესს ავლენს ნახშირბადის ნულოვანი ემისიასთან დაკავშირებით, კლიმატური მიზნის მიღწევამდე ჯერ ისევ ძალიან გრძელი გზა რჩება, განსაკუთრებით ყველაზე მაღალი ემისიის მქონე სექტორებსა და რეგიონებში. საჭიროა, რომ რეგიონსა და მსოფლიოში გაიზარდოს ნახ-შირბადის ნულოვანი ემისიისა და 1,5°C-ის მიზნებთან თანხვედრი, მეცნიერულად დასაბუთებული ამოცანების მქონე კომპანიების რაოდენობა.

ყველა ის ლონისძიება, რომელსაც ბიზნესი კლიმატის ცვლილების პრობლემის გადასაწყვეტად და წინსვლის დემონსტრირებისთვის ახორციელებს, წარმოადგენს მტკიცებულებას ხელისუფლებისთვის, რომ ნახშირბადის ემისიის შემცირება ეფექტურია. ეს უბიძგებს ხელისუფლებას უფრო მკაცრი პოლიტიკა გაატაროს ქვანახშირის ეტაპობრივი შემცირების, წიაღისეული სანვავის სუბსიდირების განახლებადი ენერჯის წყაროებში გადატანისა და ნახშირბადზე ფასის დაწესების მიმართულებით, რათა დაეხმაროს ბიზნესს კლიმატური მიზნების უფრო სწრაფად მიღწევაში.

კოვიდ-19-ის შემდგომი მდგრადი აღდგენის გზით შესაძლებელია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკის გამოცოცხლება და გარდამქმნელი ლონისძიებების გატარება. გაეროს გლობალური შეთანხმება მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმით, რომ ეხმარება კომპანიებს ამბიციური ლონისძიებების გატარებისა და გაზომვადი წინსვლის მიღწევაში. ამასთან, გლობალური შეთანხმების ადგილობრივ ქსელებს წარმატებით შეუძლიათ გლობალური იდეების ადგილობრივ ლონისძიებებად გარდაქმნა.

ცხადია, რომ მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) მხოლოდ იმას ვი არ გვიჩვენებს, თუ რას უნდა მივაღწიოთ 2030 წლისათვის მდგრადი მსოფლიოს შესაქმნელად, არამედ ასევე წარმოაჩენს ახალ ბაზრებსა და შესაძლებლობებს მთელი მსოფლიოს კომპანიებისთვის. წარმატების მისაღწევად გლობალური მიზნები ადგილობრივ ბიზნესად უნდა ვაქციოთ. გაეროს გლობალური შეთანხმებისა და მისი რეგიონული ქსელის მიზანია შეასრულოს ამ ტრანსფორმაციის მთავარი კატალიზატორის როლი. ამის განსახორციელებლად ის გამოიყენებს თავის შესაძლებლობებსა და გლობალურ ქსელს – იმ მყარი ღირებულებებისა და პრინციპების შესაბამისად, რომლებსაც ეფუძნება გაეროს გლობალური შეთანხმება.

დღევანდელი ბიზნესლანდშაფტი ხასიათდება რისკებისა და შესაძლებლობების უპრეცედენტო, დაჩქარებული და რთული ნაზავით.

მოკლე დროში უამრავმა ფაქტორმა შეიძლება შეაფერხოს მთლიანი ბაზარი, იქნება ეს ახალი ტექნოლოგია თუ ბუნებრივი რესურსების უცარი დანაკლისი. ახალი ბაზრები სწრაფად ჩნდება ისეთი გლობალური ტენდენციების შედეგად, როგორებიცაა, მაგალითად, მოსახლეობის ზრდა, რესურსების სიმწირე ან ჯანმრთელობის გლობალური რისკები. ამავე დროს, მომხმარებლები და ინვესტორები უკვე არიან ინფორმირებული ვიდრე ოდესმე – და მათ სურთ, რომ ბიზნესმა აიღოს პასუხისმგებლობა იმ ზნეობაზე, რასაც განიცდის ჩვენი პლანეტა და ამ პლანეტის მოსახლეობა.

გაეროს გლობალური შეთანხმება სთხოვს კომპანიებს, პირველ რიგში აიღონ პასუხისმგებლობა, ხოლო შემდეგ გამოიყენონ შესაძლებლობები საზოგადოებრივი გამოწვევების გადასაჭრელად ბიზნესინოვაციებისა და თანამშრომლობის გზით.

ადამიანის უფლებათა დარღვევების პრევენციას გაეროს გლობალური შეთანხმება და პასუხისმგებლიანი ბიზნესსაქმიანობის ათი პრინციპი უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს. კომპანიებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ადამიანის უფლებათა დაცვაზე და ხელს უწყობენ დაინტერესებულ მხარეებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, შეუძლიათ განაგრძონ თავიანთი ბიზნესის ზრდა შეუფერხებლად და მოიპოვონ საქმიანობის სოციალური ლიცენზია.

მდგრადი განვითარების მიზნების 169 ამოცანიდან 90%-ზე მეტი დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შრომით სტანდარტებთან. ცხადია, ეს იმას ნიშნავს, რომ ბიზნესის ან ნებისმიერი სხვა პირისთვის შეუძლებელი იქნება მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება და ჩვენთვის სასურველი მომავლის მიღება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ნაბიჯების გადადგმის გარეშე. მარტივად თუ ჩამოვყალიბებთ, ადამიანის უფლებების დაცვა და ხელშეწყობა ყველაზე უფრო უტყუარი გზაა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ პირველი და უმთავრესი გლობალური სტანდარტია, რომელიც განსაზღვრავს კორპორაციულ პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. იგი მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ ბიზნესმა უნდა დანერგოს ადამიანის უფლებათა შეფასების (due diligence) პროცედურა, რათა გამოავლინოს, თავიდან აიცილოს, გამოასწოროს და ანგარიშგება მოახდინოს იმაზე, თუ როგორ რეაგირებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. ეს პროცედურა უნდა არსებობდეს პოლიტიკით განსაზღვრულ ვალდებულებასა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმთან ერთად.

გინვეთ, შემოგვიერთდეთ მომდევნო ათი წლის განმავლობაში, რათა გლობალური მიზნები ლოკალურ ბიზნესად ვაქციოთ აღმოსავლეთ ევროპაში ცვლილებების ათწლეულის განმავლობაში.

მაგალითები - კომპანიები

აღმოსავლეთ ევროპის ნავთობისა და ქვანახშირის მოპოვებაზე დამოკიდებული ეკონომიკები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მწვანე ეკონომიკაზე მდგრადი გადასვლის მიზნის შესრულების თვალსაზრისით. ნახშირბადის ნულოვანი ემისიის მქონე ელექტროსისტემები 2035 წლისათვის ნორმას უნდა წარმოადგენდეს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, ხოლო 2040 წლისთვის – მსოფლიოს მასშტაბით. ტექნოლოგია და ეკონომიკა ჩვენ მხარესაა, მაგრამ მიზნის შესასრულებლად საჭიროა დაფინანსება. სოციალურად სამართლიანი მდგრადი განვითარებისთვის, რაც მორგებული იქნება რეგიონის კონტექსტზე, კომპანიებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ამბიციური, მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების დასახვისა და სუფთა, მწვანე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განხორციელების გზით. მათ ეს უნდა გააკეთონ სოციალურად ინკლუზიური ზრდისა და მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობითა და თანამშრომლობის ხელშეწყობით. ამგვარი ინიციატივები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გენდერული უთანასწორობისა და მწვანე სამუშაო ადგილებზე კვალიფიკაციის ნაკლებობის პრობლემების გადაჭრის, ასევე პასუხისმგებლობიანი ინვესტიციების რაოდენობის ზრდის საკითხებში.

ქვემოთ მოცემული მაგალითები შეიკრიბა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს, უკრაინის, ბულგარეთის, სერბეთის, ჩრდილოეთ მაკედონიის, ხორვატიის, რუსეთის, პოლონეთისა და თურქეთის ადგილობრივი ქსელების მიერ აღმოსავლეთ ევროპის კომპანიებიდან, რომლებმაც აჩვენეს მწვანე ეკონომიკის ერთგულება და დანერგეს წესები იმ გამონკვევების ფონზე, რომელთა წინაშეც დგას რეგიონი წიაღისეული სანვაიდან მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.



ბულგარეთი

კოსტბანკი / POSTBANK

„კოსტბანკი“ – აქტივების მხრივ სიდიდით მეოთხე ბანკია ბულგარეთში, რომელიც ფლობს ქვეყანაში არსებული ფილიალების ფართო ქსელს, 2500-ზე მეტ თანამშრომელსა და კლიენტთა მნიშვნელოვან ბაზას, ინდივიდუალური კლიენტების, კომპანიებისა და დაწესებულებების სახით, მნიშვნელოვანი სუბიექტია როგორც ინოვაციების, ასევე ტენდენციების შექმნის თვალსაზრისით. კომპანია ბულგარეთის იმ პირველ ბანკებს შორისაა, რომლებმაც გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის ფინანსური ინიციატივის ფარგლებში პასუხისმგებლობიანი საბანკო საქმიანობის პრინციპებს (UNEP FI) მოაწერეს ხელი. კორპორაციული ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც, უკვე ოცდაათ წელზე მეტია, მოქმედებს, ბანკის ეკოლოგიურ საქმიანობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, ყველა თანამშრომელთან ერთად „კოსტბანკმა“ 2019 წელს განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი სოციალური და გარემოსდაცვითი ინიციატივები.

2017 წელს „კოსტბანკმა“ დაწერა მწვანე გმირების ინიციატივა, რომლის მიზანია თანამშრომელთა ცოდნის გაუმჯობესება გარემოს დაცვის საკითხებში და ეკომეგობრული ჩვევების განვითარება. იგი მოიცავს მოხალისეობრივ კამპანიებს, მათ შორის, ხეების დარგვას, ბეტონის ტერიტორიების დასუფთავებას, ცხოველებზე ზრუნვას, ეკოპილიპების აღდგენას და საინფორმაციო კამპანიებს, რომელთა მიზანია აქტიური ცხოვრების წესის წახალისება. ამასთან, თანამშრომლებისთვის წელიწადში რამდენიმეჯერ ხორციელდება სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიები, რომელთა მიზანია ნარჩენების გადამუშავება და რესურსების დაზოგვა, მათ შორის, წყლის მოხმარების ოპტიმიზაციის, ქაღალდის მოხმარების შემცირებისა და ქაღალდის, პრინტერის ტონერებისა და კომპიუტერული მონაცემების გადამუშავების გზით.

„კოსტბანკის“ უახლესი ეკოლოგიური პროექტის ფარგლებში – მწვანე ისტორიები (Green Outdoor Stories), ბანკის 100 თანამშრომელი წახალისეს ვიტოშის ეროვნულ პარკში არსებული ტყის ბილიკის სრულად გარდასაქმნელად. 2020 წელს, ბანკის მოხალისეებმა დაამონტაჟეს ინტერაქტიური საგანმანათლებლო დაფა ახალგაზრდა მთამსვლელებისათვის, გააუმჯობესეს ციკაბო მონაკვეთის ხელმისაწვდომობა და მიუთითეს გავრცელებული ფაუნა, რომელიც გვხვდება ვიტოშის ეროვნულ პარკში. დამონტაჟებულ ინტერაქტიურ საგანმანათლებლო დაფებზე მითითებულია ასევე ფაუნის ჰაბიტატი.

ამასთან, ბანკმა დაამონტაჟა სპეციალური მწვანე დაფა და ეკოლოგიური ოფისის შენობა, რომლის მიზანია გარემოს ზიანის შემცირება პასუხისმგებლობიანი საკრედიტო საქმიანობის გზით. 2019-2020 წლებში ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების 50%-ზე მეტი ფასდება, როგორც დაბალი ეკოლოგიური ზემოქმედების მქონე, ხოლო 49,8% – საშუალო რისკით. „კოსტბანკის“ მწვანე ინიციატივები გრძელვადიან ვალდებულებას და საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.





კოზლოდუის ატომური ელექტროსადგური / KOZLODUY NPP EAD

„კოზლოდუის ატომური ელექტროსადგური“ ბულგარეთის ერთადერთი ატომური ელექტროსადგურია და ქვეყნის ელექტროენერჯის მთავარი მწარმოებელია. მასზე მოდის ქვეყნის ელექტროენერჯის წლიური გენერაციის ერთ მესამედზე მეტი. კოზლოდუის ატომურ ელექტროსადგურში მოქმედებს ორი 1000 მგვტიანი ძალური კვანძი, რომელიც აღჭურვილია მაღალწნევიანი წყლის რეაქტორებით. უსაფრთხოება კოზლოდუის ატომური ელექტროსადგურის უმთავრესი პრიორიტეტია და ექვემდებარება ბულგარეთის ბირთვული რეგულირების სააგენტოს დამოუკიდებელ სახელმწიფო ზედამხედველობას, ასევე ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსა (IAEA) და ბირთვულ ოპერატორთა მსოფლიო ასოციაციის (WANO) დამოუკიდებელ საერთაშორისო ექსპერტულ შეფასებას.

გარემოს დაცვა კოზლოდუის ატომური ელექტროსადგურის ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ნაწილია, რაც გამოიხატება ყოველწლიურ ინიციატივებში აღნიშნოს გარემოს დაცვის მსოფლიო დღე, დუნაის დღე და ხეების დარგვის მსოფლიო დღე.

გარემოს დაცვის სქემის ფარგლებში, კოზლოდუის ატომურ ელექტროსადგურში 2020 წელს განხორციელდა პროექტი „კოზლოდუის ატომური ელექტროსადგურისა და ბუნების თანაარსებობა“, რაც შთაგონებული იყო როგორც კოზლოდუის აეს-ის ლოზუნგით „სუფთა ენერჯია“, ასევე 2020 წლის გარემოს დაცვის მსოფლიო დღით „ბუნების დროა“. პროექტი ითვალისწინებდა ფოტოგრაფიის გამომსახველობითი ფორმის გამოყენებას ატომური ელექტროსადგურის მიმდებარე რეგიონის მდიდარი ბიომრავალფეროვნების წარმოსაჩენად და ელექტროენერჯის ეკომეგობრული გამომუშავების როლის, როგორც მისი გარემოსდაცვითი ფაქტორის გამოყოფას. ამ ინიციატივის მიზანი იყო კოზლოდუის აეს-ის თანამშრომლებისა და მათი ოჯახების, ადგილობრივი თემის, ატომური ელექტროსადგურის პარტნიორებისა და ფართო მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

ოვერგაზი / OVERGAS

„ოვერგაზი“ 1991 წელს შეიქმნა გაზგამანაწილებელი ქსელების მშენებლობის, ექსპლუატაციის და ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო და კომერციულ მომხმარებლებზე გაყიდვის მიზნით. ის გაზის უმსხვილესი კერძო კომპანიაა ქვეყანაში. კომპანიის გაზგამანაწილებელი ქსელი ემსახურება ბულგარეთის 277,000-ზე მეტ ოჯახს, ალტერნატიულ ენერჯიას აწვდის 60,000 ოჯახს და 3000-ზე მეტ სამრეწველო ობიექტსა და ასობით საგანმანათლებლო და სოციალურ დაწესებულებას ითვლის. „ოვერგაზი“ შექმნეს ადამიანებმა, რომლებიც ცდილობენ, რომ საზოგადოებას მოახმარონ პროფესიული უნარები და ცოდნა.

კომპანიის მისიაა, ბულგარეთის მოქალაქეებს ხელმისაწვდომ ფასად მიანოდოს სუფთა, ალტერნატიული ენერჯია. ამასთან, საზოგადოებაზე დადებითი გავლენის მოსახდენად, კომპანია დამატებით მიზნებსაც სახავს. „ოვერგაზი“ აქტიურად მონაწილეობს ენერჯეტიკული სექტორის საკანონმდებლო ინიციატივებში, ეწევა სათანადო სავაჭრო პრაქტიკას და აღიარებს კონკურენციას, როგორც ბაზრის განვითარების მამოძრავებელ ძალას. განათლების, ეკოლოგიის, სოციალური მხარდაჭერისა და ჩართულობის სფეროებში მდგრადი პროექტების განხორციელებით კომპანია მიზნად ისახავს მიაღწიოს წინსვლას გავროს გლობალური შეთანხმების ოთხი ძირითადი მიმართულებით: ადამიანის უფლებების დაცვა, შრომითი უფლებები, გარემოს დაცვა და კორუფციასთან ბრძოლა.



პროექტი „შეინარჩუნოთ მწვანე ბულგარეთი“ და „სუფთა ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის“ გრძელვადიანი ინიციატივაა, რომლის მიზანია ხანძრებით და სხვა ბუნებრივი კატასტროფებით დაზარალებული ტყეების აღდგენა, ასევე ახალი ტყის მასივების შექმნა და ბუნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება ბავშვებში. 2000 წლიდან პროექტს ერთობლივად ახორციელებენ ადგილობრივი საზოგადოებრივი მეთვალყურეობები და, ძირითადად, ტექნიკური სასწავლებლების სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ გაბთან დაკავშირებულ საკითხებს. ბოლო პერიოდში პროექტი სრულდება „ოვერგაზის“ სკოლა „ბულგარსკო შკოლოს“ ბავშვებთან ერთად. პროექტის ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა ტყის აღდგენა-გაშენების 20-მდე ღონისძიება.

სათანადო ნერგების შესარჩევად „ოვერგაზი“ და მისი სტუდენტები რეგულარულად თანამშრომლობენ მეტყვევობის სპეციალისტებთან, შესაბამისად, ტყის გაშენების და ახალგაზრდა ტყეების შემდგომი კულტივაციის ყველა ტექნიკური მოთხოვნა ზუსტად შეესაბამება ექსპერტთა რჩევებს. შედეგად, ბოლო ოცი წლის განმავლობაში „ოვერგაზის“ საზოგადოება აძლიერებს ბულგარეთის ბიომრავალფეროვნებას შვიდი აკრი მუხის ახალი ტყის გაშენებისა და 477 აკრი ახალი ტყეების შექმნის გზით. ამჟამად „ოვერგაზი“ უვლის 175,000 ხეს, რომლებიც წელიწადში 1,326 ტონაზე მეტ ნახშირორჟანგს შთანთქამენ.

მდგრადი განვითარების დოკუმენტის შესაბამისად, „ოვერგაზს“ შემუშავებული აქვს რამდენიმე პროექტი და ინიციატივა, რომლებიც გარემოზე პირდაპირი ზემოქმედების შემცირებას ითვალისწინებენ გაბიფიკაციის გზით, რაც პირდაპირ აისახება თბოელექტროსადგურების ემისიაზე, სამრეწველო წვის პროცესებსა და მყარი საწვავის წვაზე საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ, „ოვერგაზმა“ 50%-მდე შეამცირა სათბურის აირების გაფრქვევა. ამავე დროს, „ოვერგაზი“ შესაძლებლობას აძლევს თავის მომხმარებლებს, რომ თანამედროვე გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების საშუალებით შეძლონ ენერჯის მოხმარების შესახებ ინფორმაციის გაცემა, რეგულირება და ენერჯოხარჯვის დაგეგმვა. ამით გაიზარდა გაბიფიცირებული დასახლებების მიმზიდველობა. 2020 წელს, „ოვერგაზის“ მომხმარებლებმა თავიდან აიცილეს 2,028 ტონა მტვრის ნაწილაკების, 3,812 ტონა გოგირდის ოქსიდების, 938 ტონა აზოტის ოქსიდებისა და 483,304 სათბურის აირების გაფრქვევა, რითაც ხელი შეუწევს ენერჯოეფექტურობის ზრდას.



სოლვეი სოდი / SOLVAY SODI

„სოლვეი სოდი“ წარმოადგენს მსოფლიოს მრავალი მიმართულების მქონე ქიმიური ჯგუფის „სოლვეის“ ნაწილს და მოწინავე კომპანიაა ინოვაციური ქიმიისა და მასალების დარგში. 2020 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით „სოლვეის“ აღებული აქვს ვალდებულება მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივასთან (SBTi) დაკავშირებით და ელოდება SBTi-ის მიერ მისი მიზნის დამტკიცებას ვალდებულების აღებიდან 24 თვეში. კომპანია აწარმოებს სოდას, ბაზარს და მრეწველობას ამარაგებს მინის, სარეცხი და ქიმიური პროდუქტებით და ქმნის ხსნარებს ნატრიუმის ბიკარბონატის ფუძეზე. ჯგუფის მაღალი სტანდარტის ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გამო, „სოლვეი სოდი“ კონცენტრირებულია გარემოზე ზემოქმედების შემცირებაზე, განსაკუთრებით, სათბურის აირების ემისიის თვალსაზრისით და წარადგენს მწვანე ენერჯიაზე გადასვლის პროგრამებს და სხვა ინოვაციურ პროექტებს.

გაეროს კლიმატის ცვლილების სამიტის მხარდასაჭერად, რომელიც 2019 წლის 23 სექტემბერს გაიმართა, „სოლვეი ჯგუფის“ ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, „სოლვეის“ თანამშრომლები მსოფლიოს 160-ზე მეტი ორგანიზაციიდან შეუერთდნენ ადგილობრივ თემებს „სოლვეი ჯგუფის“ პირველი მოხალისეობრივი დღისთვის, სადაც ინიციატივის მთავარ თემას გარემოს დაცვა წარმოადგენდა. ამ დღეს „სოლვეი სოდისა“ და მის ფილიალებში 400 ხე დაირგო, საიდანაც 100 სოფელ ჩერნევიში, ხოლო 100 – პროვადიაში, სოფელ კრივნიას საშუალო სკოლის 16 მოხალისისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლების თანამონაწილეობით დაირგო. დევნიაში, ქალაქის პარკში ადგილობრივი სკოლის 60 მოსწავლის დახმარებით დაირგო 200 ხე. „სოლვეი სოდი“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდების ჩართულობას გარემოს დაცვის საკითხებში, რადგან ახალგაზრდების ჩართულობამ მომავალში მნიშვნელოვანი შედეგები შეიძლება მოიტანოს, ვინაიდან წახალისებს ანგარიშვალდებულებას და ადამიანებს უფრო მეტ ცოდნას აძლევს კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით.





სორვატია

A1 ჰრვატსკა / A1 HRVATSKA

ინოვაციებისა და ტელეკომუნიკაციების ბაზრის ლიდერი „A1 ტელეკომის“ ჯგუფში შემავალი „A1 ჰრვატსკა“ ბოლო ოცი წელია სათავეში უდგას ხორვატიის ციფრულ გარდაქმნას. მისი მისიაა მოწინავე ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების განხორციელების საშუალებით ყოველდღიური ცხოვრება უფრო პროდუქტიული, კომფორტული და მდგრადი გახადოს. „A1 ჰრვატსკის“ შექმნის იდეა თემის მხარდაჭერისა და გარემოზე ზრუნვის სურვილმა განაპირობა. კომპანია თავის ღირებულებებს ახორციელებს ისეთი ფილანთროპიული და გარემოსდაცვითი ინიციატივებით, როგორებიცაა: მოხალისეების მხარდაჭერა საზოგადოებრივი დაფინანსების პლატფორმის მეშვეობით, ალტერნატიული ენერჯის წყაროების გამოყენება და ციფრული წიგნიერების ხელშეწყობა.

მდგრადი განვითარება თავიდანვე წარმოადგენდა „A1 ჰრვატსკის“ სტრატეგიის საფუძველს. როგორც კომპანიის ბიზნესგადაწყვეტილებების ნაწილი „ჰრვატსკამ“ შეიმუშავა მდგრადი და მყარი სტრატეგიული ჩარჩო, რომლის მიხედვითაც განახლებადი ენერჯია, ნარჩენების მართვა, ჯვრიანი ტექნოლოგიები, შესაძლებლობების განვითარება და ცირკულარული ეკონომიკა მდგრადი განვითარების კატალიზატორებს წარმოადგენს.

„A1 ჰრვატსკამ“ საკუთარ ქსელში დაწერა 44 საბაზო სადგური, რომელიც განახლებად ენერჯის წყაროებს, მათ შორის ქარისა და მზის ენერჯიას მოიხმარს, ხოლო დამატებით 120 სადგური შენდება 2021 წელს ევროკავშირის სიცოცხლის პროგრამული ფონდების დახმარებით. ამ დაფინანსების მეშვეობით კიდევ 200 საბაზო სადგური აღიჭურვება უფასო გაგრილების სისტემებით, რომლებიც დამატებით ამცირებს კომპანიის მიერ გამოყოფილ ნახშირორჟანგს. შედეგად კომპანიას ექნება მდგრადი საბაზო სადგურების ყველაზე დიდი რაოდენობა A1 ტელეკომის ჯგუფში. განახლებადი ენერჯის წყაროებისა და უფასო გაგრილების სისტემის დაწერვით, „A1 ჰრვატსკა“ შეამცირებს ენერჯის წლიურ მოხმარებას 1,72 მილიონი კვტ.სთ-ით, რაც ნახშირბადის ემისიის 404 ტონით შემცირებას უდრის. კომპანიის ტერიტორიაზე მზის ელექტროსადგურის დამონტაჟებასთან ერთად, რომელიც 35,000 კვტ.სთ ელექტროენერჯიას გამოიმუშავებს და აწვდის ელექტროენერჯის ქსელში, 2030 წლისთვის ნახშირბადნეიტრალურობის მიზნის მისაღწევად „ჰრვატსკა“ საკუთარი სივრცეებისა და ინფრასტრუქტურისთვის მწვანე ენერჯის წყაროებზე გადავიდა. ამ მიზნის მიღწევაში კომპანიას ენერგოპროვადირთან თანამშრომლობა ეხმარება, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ კომპანიის მიერ გამოყენებული ელექტროენერჯია სრულად განახლებადი წყაროებიდან იქნეს მიღებული.

„A1 ჰრვატსკა“ მწვანე სასწავლო კურსების დახმარებით აქტიურად არის ჩართული თანამშრომლების განათლებაში მდგრადი ბიზნესისა და ცხოვრების მნიშვნელობის შესახებ. ამასთან, „ჰრვატსკა“ ასევე უწყობს ხელს ალტერნატიული ტრანსპორტის, მაგალითად, ველოსიპედების გამოყენებას თანამშრომლების მიერ და ნახალისებს მწვანე მოხალისეობრივ საქმიანობას, როგორცაა, მაგალითად, პარკებისა და ადრიატიკის ზღვის დასუფთავება და ასევე ხეების დარგვა ბავშვების სათამაშო მოედნებსა და პარკებში. ამჟამად კომპანიის თანამშრომელთა 10% მონაწილეობას იღებს დასუფთავებისა და ხეების დარგვის მოხალისეობრივ აქტივობებში.

ნარჩენების მართვის თვალსაზრისით, კომპანიის ოფისები ამჟამად არ იყენებს პლასტმასას. ამასთან, თანამშრომლებს უბიძგებენ ნაკლები ბეჭდვისაკენ და ქაღალდის ნარჩენის 50%-ით შემცირებისაკენ. ამავ დროს, „ჰრვატსკის“ ოფისები და ტერიტორია შესაბამისად არის აღჭურვილი გადამამუშავებელი ნერტილებით ნარჩენების დასახარისხებლად და მზის ენერჯიაზე მომუშავე ჯვრიანი ურნებით, რომლებიც ახდენს ნარჩენების დახარისხებასა და დაწინებას, რაც ურნების ტევადობას დაახლოებით 10-ჯერ ზრდის. ჯვრიანი ტექნოლოგიები „ჰრვატსკის“ მდგრადი სტრატეგიის საფუძვლების უმნიშვნელოვანეს აქტივს წარმოადგენს, ვინაიდან კომპანიას დამონტაჟებული აქვს ჯვრიანი მრიცხველები, რომლებიც ბუნებრივი აირისა და ჰაერის ხარისხის გაზომვას თავად ახდენს.

დაბოლოს, „ჰრვატსკა“ ხელს უწყობს ცირკულარულ ეკონომიკას მომხმარებლებს შორის, რომელთა 46% ირჩევს ელექტრონულ ქვითრებს, რითაც გასულ წელს 27,650 ხე გადარჩა მოჭრას. ამასთან, მომხმარებლებს ურჩევნ, პასუხისმგებლობით მოევიდონ ძველი მობილური მონწყობილობების გადაგდებას და მიიტანონ ისინი „A1 ჰრვატსკის“ მაღაზიებში, სადაც მათ გადაამუშავებენ. ამასთან, კომპანია კიდევ უფრო ამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას კლიმატის ცვლილების შესახებ მედიაკამპანია „ნულოვანი ნახშირბადის“ საშუალებით, რომელიც მოიცავს მოსაზრებებსა და პანელურ განხილვებს და რომელშიც მონაწილეთა რაოდენობამ 1 მილიონ ადამიანს მიაღწია.





ინა ჯგუფი / INA GROUP

„MOL ჯგუფის“ წევრი „ინა ჯგუფი“ რამდენიმე ფილიალისგან შედგება და წამყვან ადგილს იკავებს ხორვატიის ნავთობის ინდუსტრიაში, რეგიონულ დონეზე კი – ნავთობისა და გაზის ძიებისა და მოპოვების, ნავთობის გადამუშავებისა და ნავთობპროდუქტების მიწოდების სფეროში. დღეს INA-ს რეგიონული საცალო ქსელი ანგოლასა და ეგვიპტეში საქმიანობის გარდა 500-ზე მეტ საცალო სადგურს ითვლის ხორვატიასა და მის მეზობელ ქვეყნებში.

ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის დებულებების შესაბამისად, INA-მ შემუშავა რამდენიმე ინიციატივა, მათ შორის, ნავთობის ინტენსიური მოპოვების (EOR) პროექტი და მწვანე ზონის პროგრამა.

INA-ს მიერ შემუშავებული ნავთობის ინტენსიური მოპოვების პროექტი, რომელიც 2014-2015 წლებში განხორციელდა, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ემისიის დონის შესამცირებლად, რაც აუცილებელია ტემპერატურის ზრდის შესაჩერებლად და 2050 წლისათვის ევროკავშირის დაბალი ნახშირბადის ეკონომიკასთან თავსებადობისთვის. პროექტი ითვალისწინებს ნახშირორჟანგის ჩაჭერას, მოხმარებას და შენახვას (CCUS) და მოიცავს ნახშირორჟანგისა და წყლის ჩაჭირვანას ნავთობის დაცლილ საბადოებზე ყოველთვიური ციკლის სახით, რითაც გაიზრდება მოპოვება და ამავე დროს შემცირდება ემისია ჰაერში. პროგრამის გუნდი ახდენს ჩაჭირვანისა და მოპოვების მონიტორინგსა და ოპტიმიზებას და მუშაობს მსგავსი ტექნოლოგიების გაფართოებაზე დამატებით სფეროებში, ასევე პროექტების CCUS-ის პროექტებად გარდაქმნაზე.



2014 წელს პროექტის დაწყებიდან განხორციელდა 1,8 მილიონ ტონაზე მეტი CO₂-ის სამუდამო შენახვა, რაც ხორვატიაში მანქანით მგზავრების მიერ წელიწადში გატრეჟეული გამონაბოლქვის რაოდენობის დაახლოებით 30% შეადგენს. მას შემდეგ ნახშირწყალბადების დღიური მოპოვება ორჯერ გაიზარდა ივანიჩისა და სამჯერ შუტივის საბადოებზე. 190 მილიონ მ³-ზე მეტი CO₂ ჩაიჭირნა 2020 წელს სამ საბადოზე, რითაც პროექტის დაწყებიდან დღემდე ჩაჭირვნილი ნახშირორჟანგის საერთო რაოდენობამ 1.1 მილიარდ მ³-ს გადააჭარბა.

INA დამატებით დიდ ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვას და ეხმარება საზოგადოებას მწვანე ინიციატივების განხორციელებაში. ამის ერთი მაგალითია INA-ს მწვანე ზონის პროგრამა, რომელიც 2014 წელს დაიწყო. პროგრამის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს სთხოვენ წვლილის შეტანას ადგილობრივი თემების გარემოს დაცვაში. ამ ინიციატივის ფარგლებში INA მხარს უჭერს ისეთ პროექტებს, როგორებიცაა: ტყის გაშენება, ეკოლოგიური განათლება, გამწვანება, წყალქვეშა დასუფთავება, სანაპიროების, ტბებისა და მდინარეების დასუფთავება და მსგავსი საქმიანობა. შედეგად, მწვანე ზონაში დაირგო 8,000 ნარგავი და გამწვანებულ იქნა 65,424 მ² ტერიტორია.

კოკა-კოლა ეიჩბისი ხორვატია / COCA-COLA HBC CROATIA

„კოკა-კოლა ეიჩბისის“ ჯგუფში შემავალი „კოკა-კოლა ეიჩბისი ხორვატია“ ხორვატიის უაღვსულო სასმელების ინდუსტრიაში ერთ-ერთი უდიდესი კომპანია და პარტნიორია „კოკა-კოლისა“, რომელიც 29 ქვეყანაში საქმიანობს და ამარაგებს 600 მილიონზე მეტი მომხმარებლის ბაზარს. კომპანია ხორვატიაში 1968 წლიდან არის წარმოდგენილი. კომპანიის სათავო ოფისი და ჩამოსასხმელი ქარხანა მდებარეობს ზაგრებში, ხოლო პროდუქცია მიწოდება ექვს სადისტრიბუციო ცენტრს.

ჯგუფი „კოკა-კოლა ეიჩბისიმ“ აიღო ვალდებულება საბაზისო 2017 წლიდან 2030 წლამდე სათბურის აირების 1-ელი და მე-2 დონის ემისიების 55%-ით და მე-3 დონის ემისიების 21%-ით შემცირებისა მეცნიერულად დასაბუთებული მიზნების ინიციატივის ფარგლებში. სათბურის აირების ემისიასთან დაკავშირებული მიზნები კომპანიის ოპერაციებიდან (1-ელი და მე-2 დონეები) ექვემდებარება შემცირებას, რაც საჭიროა გლობალური დათბობის 1,5 °C-მდე შესანარჩუნებლად.

დიდი აქცენტი კეთდება ბიზნესის მდგრად განვითარებაზე, რაც მჭიდროდ უკავშირდება იმ თემების მდგრად განვითარებას, რომლებშიც საქმიანობს კომპანია. ჯგუფი სასმელების ინდუსტრიის ლიდერად არის აღიარებული დოუ ჯონსის ინდექსით და ასევე განვითარებულია ინდექსში FTSE4Good. მდგრადი განვითარების ჩარჩოს როგორც ნაწილი და მთავარი მიზანი მდგრადი ბიზნესის მიზნებიდან, „კოკა-კოლა ეიჩბისი“ ახორციელებს მომწოდებლების შიდა სოციალურ და გარემოსდაცვით აუდიტს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი მხრიდან ადამიანის უფლებათა უმაღლესი სტანდარტების დაცვა.


კლიმატის ცვლილება პოტენციურ რისკს წარმოადგენს „კოკა-კოლა ეიჩბისის“ ოპერაციებისთვის რე-სურსების ხელმისაწვდომობის შემცირებისა და ენერჯის ფასების ზრდის თვალსაზრისით. ეს ასევე რისკია იმ მომწოდებლების, მომხმარებლებისა და საზოგადოებისთვის, რომლებსაც იგი მიეკუთვნება. მართალია, კომპანიის ბიზნესში გამოყენებული ენერჯის დიდი ნაწილი ჩამოსასხმელ ქარხნებში, სატრანსპორტო პარკსა და სამაცივრო მოწყობილობაში გამოიყენება, მაგრამ „კოკა-კოლა ეიჩბისი ხორვატიამ“ დადო ენერჯის მოხმარების შემცირებისა და ემისიების საერთო გავლენის შემცირების პირობა. კლიმატის ცვლილების გამომწვევებზე მუშაობისას „კოკა-კოლა ეიჩბისიმ“ ღია დიალოგი წამოიწყო მომწოდებლებთან ღირებულებათა ჯაჭვში ნახშირორჟანგის ემისიების შემცირების მიზნით.

„კოკა-კოლა ეიჩბისის“ იღებს ვალდებულებაც, 2025 წლისთვის 30%-ით შეამციროს ნახშირორჟანგის პირდაპირი ემისიების წილი. ამისათვის კომპანია სუფთა ენერჯის წყაროებზე გადადის, ახორციელებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და საუკეთესო პრაქტიკის ხელშეწყობას. შედეგად, ხორვატიის ჩამოსასხმელი ქარხნის CO₂-ის ემისია 2017-დან 2019 წლამდე 14%-ით შემცირდა, ხოლო ენერჯის მთლიანი მოხმარება წარმოებული სასმელის თითოეულ ლიტრზე „კოკა-კოლა ეიჩბისის“ ჩამოსასხმელი ქარხანაში – 4.6%-ით გასული 10 წლის განმავლობაში. 2019 წელს „კოკა-კოლა ეიჩბისის“ ჩამოსასხმელი ქარხნის მიერ მთლიანად მოხმარებული ენერჯის 66% განახლებადი ენერჯის წყაროებიდან იყო მიღებული, ხოლო სამომხმარებლო გაყიდვის წერტილებში არსებული გამაგრილებლების 49% ენერგოეფექტური იყო.

სამაცივრო დანადგარების თვალსაზრისით, „კოკა-კოლა ეიჩბისი ხორვატია“ გადავიდა ფთორნახშირწყალბადებისგან თავისუფალ მოწყობილობაზე, რამაც 99%-ით შეამცირა სამაცივრო დანადგარებთან დაკავშირებული სათბურის აირების პირდაპირი ემისიები და ასევე უზრუნველყოფს იმას, რომ არცერთი ახალი სამაცივრო დანადგარი, რომელიც კომპანიას ბაზარზე გააქვს არ შეიცავს ფთორნახშირწყალბადებს (HFC). მცირე ზომის სამაცივრო დანადგარებში გამოიყენება ნახშირწყალბადიანი სამაცივრო (HC), ხოლო დიდი მოცულობის დანადგარებში გამოიყენება ნახშირორჟანგი (CO₂), რაც უსაფრთხო, საიმედო და ენერგოეფექტური ჩანაცვლებაა პოზიტიური მახასიათებლებით. ის არ

ემისიების შემცირება

ვამცირებთ ბიზნესის ზემოქმედებას გარემოზე



ინვესტორების შრომის გათხევლებას და ტიპურ ფორნახშირწყალბადებთან შედარებით დაბალი პოტენციური აქვს გლობალური დათბობის თვალსაზრისით. ამასთან, „კოკა-კოლა ეიჩბისი ხორვატიამ“ აირჩია ენერგოეფექტური თაობის სამაცივრო მოწყობილობა, რომელიც აღჭურვილია მოხმარების ელექტრონული კონტროლის მექანიზმით (EMD) და შექდიოდური (LED) განათებით. შესაბამისად, 2019 წელს „კოკა-კოლა ეიჩბისი ხორვატიამ“ ფორნახშირწყალბადიანი სამაცივრო მოწყობილობის გამოყენების წილი 21% შეამცირა, ნახშირწყალბადიანი სამაცივრო დანადგარების წილი 63% გაზარდა, ხოლო CO₂-ის შემცველი სამაცივრო დანადგარების რაოდენობა იმავე დონეზე დარჩა.

ამასთან, „კოკა-კოლა ეიჩბისი ხორვატიამ“ ეთანხმება ავტოპარკის უსაფრთხოების პოლიტიკის პირობებს, რომელთა შესაბამისად მსუბუქი ავტომანქანები არ უნდა იყოს ოთხ წელზე უფრო ძველი და აკმაყოფილებდეს ევრო 6 სტანდარტის მოთხოვნებს. ავტოპარკის საწვავის მოხმარებისა და კილომეტრაჟის მონიტორინგით „კოკა-კოლა ეიჩბისი ხორვატიამ“ აგრძელებს სატბურის აირების ემისიის შემცირებას.



საქართველო



ჩიკათაი / CHIKATAI

2017 წელს დაარსებული „ჩიკათაი“ პატარა საწარმოა, რომელიც ბავშვთა დეკორსა და სათამაშოებს ამზადებს. ყველა პროდუქტი ხელნაკეთია და დამზადებულია სერტიფიცირებული მასალებით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს პროდუქციის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებს. „ჩიკათაის“ სათამაშოების მიზანია, ბავშვების ცხოველებთან ურთიერთობის ხელშეწყობა, რაც ბრენდის ფილოსოფიის საფუძველია. სათამაშოების დიზაინში „ჩიკათაის“ სულისკვეთების ასახვასთან ერთად, მდგრადი განვითარების მიზნებისადმი ბრენდის ერთგულება კომპანიის საქმიანობის წესშიც ვლინდება. ეკოლოგიურად მდგრადი ეკონომიკური არჩევანის, გადამუშავების ინიციატივების გზით ცნობიერების ამაღლებისა თუ ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF) მიზნებისთვის მრავალდარგობრივი თანამშრომლობის გაძლიერების მეშვეობით, „ჩიკათაი“ ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

2021 წლის სექტემბერში „ჩიკათაიმ“ ახალი პროექტი – სათამაშოების საავადმყოფო წამოიწყო, რომლის მიზანია ცნობიერების ამაღლება ზედმეტი ხარჯების შესახებ და მოხმარებელთა ნახალისება, რომ გადაგდების ნაცვლად სათამაშოები შეავეთონ, რითაც ხელს უწყობენ პასუხისმგებლობიან მოხმარებას ნარჩენების შემცირების გზით.

პასუხისმგებლობიანი მოხმარების ჩარჩოს შესაბამისად, „ჩიკათაიმ“ შეიმუშავა ბავშვთა დეკორისა და სათამაშოების გადამუშავების ხაზი, რომლის ფარგლებშიც საბავშვო მოდის ბრენდის Spilow-ს საწარმოო ნარჩენები შეგროვდება და ხელახლა გადამუშავდება. Spilow-თან კოლაბორაცია კარგი მაგალითია სხვა პასუხისმგებლობიანი ბრენდებისთვის, რომლებიც „ჩიკათაისთან“ თანამშრომლობენ და ნარჩენ ქსოვილებს გასცემენ საწარმოო ნარჩენების მინიმუმამდე შესამცირებლად. ამჟამად „ჩიკათაი“ თანამშრომლობს ბავშვთა ბრენდთან „ეშვი კიდსი“, ამასთან, მუშაობს სამ სხვა ბრენდთან გადამუშავების ხაზის გასაძლიერებლად.

ბიომრავალფეროვნების მხარდაჭერა და ბიომრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება „ჩიკათაის“ ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან (WWF) თანამშრომლობით, ჩიკათაიმ სპეციალურად შექმნა ჩხრიალა სათამაშო ზუთხები WWF-ის კავკასიის ოფისის საქართველოში ზუთხის დაცვის პროექტის მხარდასაჭერად. ამავე პროექტის ფარგლებში, „ჩიკათაიმ“ შექმნა ახალი საქველმოქმედო სათამაშო, ქურციკი. გაყიდვებიდან შემოსული მოგება სრულად გადაირიცხა WWF-ის საქართველოს პროგრამაში ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობის ღონისძიებების განსახორციელებლად.

ეფეს საქართველო

/ EFES GEORGIA

„ეფეს საქართველო“ (EG) არის Efes Breweries International-ის წარმომადგენელი კომპანია საქართველოში და აწარმოებს ნატახტარის ლუდს, ლიმონათს და სხვა ადგილობრივ ან ფრანჩიზულ ბრენდებს. საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ბაზრის ლიდერი „ეფეს საქართველო“ გამოირჩევა კორპორაციული პასუხისმგებლობის გამოცდილებით.

კორპორაციული მდგრადობის ჩარჩოს შესაბამისად, „ეფეს საქართველო“ სხვადასხვა ენერგოეფექტურ, ნარჩენების მართვისა და წყლის მართვის ღონისძიებებს ახორციელებს.

2012 წელს კომპანიამ ააშენა ბიოლოგიური ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი დანადგარი, რომელიც გადაამუშავებს სრული სამრეწველო ციკლის პროცესში წარმოქმნილ ჩამდინარე წყლებს, ასევე კანალიზაციას. გამწმენდი დანადგარი, რომელსაც მართავს მსოფლიოში აღიარებულ ერთ-ერთი საუკეთესო გერმანული ლუდსახარში კომპანია Chriwa Umwelt-Systemtechnik und Service GmbH (CUSS), მნიშვნელოვნად ამცირებს საწარმოო პროცესების მავნე გავლენას გარემოზე, მაგალითად, გრუნტის წყლების, უახლოესი მდინარეებისა და მათი ეკოსისტემების დაბინძურებას. დანადგარი, რომელზეც 6 მილიონი ლარის საწყისი ინვესტიცია დაიხარჯა, და რომლის საოპერაციო ხარჯი კი 400 000 ლარს შეადგენს, ხარისხიანი განმუშავების შესაძლებლობას იძლევა, შესაბამისად, აკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს წყლის ხარისხთან დაკავშირებით. „ეფეს საქართველოს“ ქარხნის კარი ღიაა ნებისმიერი ადამიანისათვის, რადგანაც კომპანიის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სუფთა და მწვანე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესახებ. ამ ინიციატივით „ეფეს საქართველო“ იმედოვნებს, რომ პოპულარიზაციას გაუწევს სუფთა და მწვანე ინოვაციებს ქვეყნის მასშტაბით.

მდგრადი განვითარების მიზნებთან მეტად თავსებადობისათვის, „ეფეს საქართველო“ სისტემატურად აფასებს კომპანიის ზემოქმედებას გარემოზე, როგორც შიდა რესურსებით, ასევე გარე კონტრაქტორი კომპანიების დახმარებით. საწარმოო ტერიტორიაზე ნიადაგის დაბინძურების ადგილების განსასაზღვრად შემუშავებულ იქნა სპეციალური კითხვარები. ამასთან, დაქირავებულ იქნა მენარდეები ქარხნის მუშაობით გამოწვეული ხმაურის დონის, გამოშვებული წყლის ხარისხის განსასაზღვრად და სხვ.

ცნობიერების ამაღლების მიზნით კომპანია თანამშრომლებს რეგულარულად სთავაზობს ტრენინგებს გარემოს დაცვის, ემისიის, ჩამდინარე წყლებისა და ნარჩენების მართვის საკითხებზე და ასევე ატარებს სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიას მომხმარებლებს შორის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისათვის.





ჯიპიაი ჰოლდინგი / GPI HOLDING

„ჯიპიაი ჰოლდინგი“ 2001 წელს შეიქმნა, როგორც პირველი კერძო საპენსიო ფონდი საქართველოში, რომელიც საზოგადოებას სხვადასხვა ხელმისაწვდომ სადაზღვევო და სხვა პროდუქტს სთავაზობდა. მისი ძირითადი პრიორიტეტები მოიცავდა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საპენსიო დაზღვევას. 2006 წელს, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ ვენის სადაზღვევო ჯგუფის წევრი გახდა, რაც მნიშვნელოვანი წინსვლა იყო კომპანიისთვის არა მხოლოდ ფინანსური სტაბილურობის, არამედ გამოცდილების თვალსაზრისითაც.

ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდამჭერი მუდმივ კლიენტთა წახალისების კამპანია „ეკოსიტის“ ფარგლებში, „ჯიპიაი“ ურჩევდა მომხმარებლებს, უფრო ხშირად ევარჯიშათ ეკომონეტების სანაცვლოდ, რომლებითაც შესაძლებელი იყო დაზღვევის შექმნა. 2019 წლიდან „ჯიპიაი“ ასევე იღებს ზომებს კლიმატის ცვლილებასთან მიმართებით – კომპანიის ოფისები სრულად უქალაქოდ მუშაობაზე გადავიდა. CO₂-ის ემისიის შემცირებასთან ერთად, ქალაქის მოხმარების აკრძალვის ინიციატივამ კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯებიც შეამცირა.

სს მისო კრისტალი / JSC MFO CRYSTAL

სს „მისო კრისტალი“ არის ფინანსური ჩართულობისა და უმსხვილესი არასაბანკო ფინანსური ორგანიზაცია საქართველოში. კრისტალი მართავს 320 მილიონიან სასესხო პორტფელს და 48 ფილიალში დასაქმებული დაახლოებით ათასი თანამშრომლით ქვეყნის მასშტაბით 100 ათასზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. კრისტალი ოპერირებს, როგორც ეკონომიკური განვითარების პლატფორმა და მიკრო, მცირე მენარმეებსა და ფერმერებს აწვდის მათზე მორგებულ ინოვაციურ ფინანსურ პროდუქტებსა და სერვისებს.

კრისტალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკუთარ მომხმარებლებს, ბიზნესპარტნიორებს, საზოგადოებასა და, ზოგადად, გარემოს. კრისტალის ვალდებულება საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის მხრივ უშუალოდ ინტეგრირებულია კრისტალის კორპორაციულ სტრატეგიასთან რამდენიმე პროგრამის განხორციელების გზით, რომლებიც უკავშირდება მწვანე გადაწყვეტილებებს, ალტერნატივებს და სამი ძირითადი ასპექტისაკენ სწრაფვას: ადამიანები, პლანეტა და მოგება.

კომპანიამ გააცნობიერა ეკოლოგიურად სუფთა გარემოს სარგებელი, ასევე გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ინიციატივებში ფინანსური სექტორის მონაწილეობის საჭიროება და 2017 წელს წარმოადგინა ინოვაციური, მწვანე ფინანსური პროდუქტი. პროექტის მიზანია მომხმარებლებს შესთავაზოს მწვანე ალტერნატივები, რითაც ხელს შეუწყობს ეკომეგობრულ გადაწყვეტილებებს და მონაწილეობას მიიღებს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებაში. საზოგადოებაში მწვანე პროდუქტების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამომწვევებთან გასამკლავებლად კომპანია გამოვიდა სხვადასხვა მარკეტინგული კამპანიის შემუშავების ინიციატივით ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების უპირატესობების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად და გამოყო მწვანე დაფინანსების ხაზი. ამ მიმართულებით „კრისტალი“ ცდილობს, საზოგადოებას გაუჩინოს ეკომეგობრული პროდუქციის შექმნის სურვილი განვადებით ან სესხით სარგებლობისას.

სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 2020 წლის დეკემბრისათვის „კრისტალის“ მწვანე დაფინანსების პორტფელმა 10 მილიონ ლარს მიაღწია. 2018-2020 წლების მონაცემებით ათვისებული მწვანე პროდუქტების მოსალოდნელმა გავლენამ, რომელიც გამოითვალეს „კრისტალის“ საკუთარი ენერგოდანაზოგითა და CO₂-ის კალკულატორით, შეადგინა: 8.3 მილიონი კვტ. სთ. ენერჯის დაზოგვა, CO₂-ის შემცირება 1,143 ტონით, რაც შეესაბამება 45,700 ხეს.

„კრისტალმა“ გაიმარჯვა კატეგორიაში „მდგრადი მოხმარება და წარმოება“ გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონკურსში „კრისტალმა“ მიიღო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის 2020 წლის ჯილდო „მწვანე დაფინანსების“ პროექტისათვის.

მართალია, „კრისტალის“ ინფორმირებული მომხმარებელი ათასობითაა, კომპანია მიზნად ისახავს, კიდევ უფრო აამაღლოს მოსახლეობის ცნობიერება მწვანე და ეკომეგობრული პროდუქტების სარგებელთან დაკავშირებით იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების ინიციატივებს და ოჯახებმა და ფერმერებმა შეზღუდონ ენერჯის მოხმარება.



**GREEN
FINANCE**



თიბისი ბანკი / TBC BANK

ლონდონის საფონდო ბირჟის უმაღლესი კლასის სეგმენტში კოტირებული, FTSE-ის მცირე საბაზრო კაპიტალიზაციის მქონე კომპანიების ინდექსისა და გავრთიანებული სამეფოს მცირე კაპიტალიზაციის მქონე კომპანიების MSCI ინდექსის წევრი „თიბისი ბანკი“ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კომპანიაა, რომლის მიზანია ბაზარზე მონიწივე ციფრული გამოცდილების უზრუნველყოფა.

„თიბისი ბანკი“ ფინანსური ჯგუფის ლიდერია საქართველოში. მისი საბაზრო წილი 39.0%-ს შეადგენს, ხოლო მთლიანი სესხები და ანაბრები – 37.2%-ს. ბანკი აქტიურად არის წარმოდგენილი ყველა მნიშვნელოვან კომერციულ სეგმენტში, მათ შორის, საცალო საბანკო მომსახურების, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSMEs) და კორპორაციული საბანკო მომსახურების სეგმენტებში.

„თიბისი“ ცდილობს გაზარდოს საზოგადოებასა და ეკონომიკაზე დადებითი გავლენა ახალი ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების დანერგვის გზით, რომლებიც შექმნილია კონკრეტული სოციალური ან/და ეკოლოგიური სარგებლის მოსატანად. კომპანია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სათანადო განვითარების პრინციპების დანერგვას დაკრედიტებისა და საინვესტიციო პოლიტიკაში, ასევე პროდუქტებსა და მომსახურებაში. 2012 წელს „თიბისი“ ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი ბანკი იყო, რომელმაც შეიმუშავა გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის სისტემა (ESMS). თითოეული კომერციული ოპერაციის შემთხვევაში, „თიბისი ბანკი“ ცდილობს მომხმარებლების მხრიდან უზრუნველყოს ორგანიზებული და სისტემური მიდგომა ეკოლოგიური და სოციალური რისკის მართვასთან დაკავშირებით, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო ეკოლოგიურ, სოციალურ, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, შრომით რეგულაციებისა და სტანდარტებთან შესაბამისობა.

ამავე დროს, „თიბისი ბანკი“ მზა პროდუქტებს სთავაზობს ქალთა გაძლიერების, ახალგაზრდების მხარდაჭერის, განახლებადი ენერჯის წყაროებისა და ენერგოეფექტურობის მიზნობრივობით. EBRD-თან თანამშრომლობით „თიბისიმ“ შეიმუშავა ბიზნესის სასესხო პროდუქტი (ქალები ბიზნესში),

რომლის მიზანია ბიზნესმენ ქალთა მხარდაჭერა და ახალი ან დამწყები ბიზნესების განვითარება მენარმე ქალთა შესაძლებლობების გაძლიერებით სესხის უზრუნველყოფაზე შეღავათიანი პირობების შეთავაზების გზით. ახალგაზრდების მხარდამჭერი პროდუქტი სესხზე პრივილეგიურულ პირობებს სთავაზობს ახალგაზრდებს, რომლებსაც საკუთარი ბიზნესი აქვთ და პირველად აკეთებენ განაცხადს იპოთეკურ სესხზე. გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის სისტემის შესაბამისად, „თიბისი ბანკმა“ შეიმუშავა რამდენიმე აქტივობა განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის პოპულარიზაციისათვის, მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურების დაფინანსება, საწვავის მოხმარების მხრივ ეკონომიური ავტომობილების შექმნა და საბინაო და სახლის ეფექტიანობის გასაუმჯობესებელი სესხები.

ახალგაზრდების განვითარება, თანასწორობა და ქალთა გაძლიერება „თიბისის“ კულტურის ნაწილია და თანამშრომლობის ის პრიორიტეტებია, რომლებსაც კომპანია ითვალისწინებს. „თიბისი ბანკმა“ და UNDP-ის საქართველოს წარმომადგენლობამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს ადგილობრივი დამწყები კომპანიების, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად, ახალგაზრდების გასაძლიერებლად, რეგიონში ფინანსური ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად და ქალთა მხარდასაჭერად ბიზნესის განვითარებაში. პირველი თანამშრომლობა 2021 წელს განხორციელდა. კერძოდ, „თიბისი ბანკისა“ და საქართველოში UNDP-ის წარმომადგენლობის მხარდაჭერით Impact Hub Tbilisi იწყებს საერთაშორისო სტუდენტურ პროგრამას Social Impact Award. ეს არის სტუდენტთა მენარმეობის უდიდესი პროგრამა სოციალური მენარმეობის სფეროში, რომელიც 15 ქვეყანაში ხორციელდება და მიზნად ისახავს სტუდენტების განათლების მხარდაჭერას სოციალური მენარმეობის სფეროში. პროგრამა მოიცავს მთლიან პროცესს იდეიდან ბიზნესგეგმის მომზადების ჩათვლით, რაც ახალგაზრდებს იდეის რეალობად ქცევის შესაძლებლობას მისცემს.

„თიბისი“ დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოში მენარმეობის განვითარებას და მომხმარებელს ინდივიდუალურად მორგებული საბანკო პროდუქტების არჩევანს სთავაზობს. „თიბისი ბანკი“ წლების განმავლობაში ახორციელებს ინოვაციურ პროგრამას „სტარტაპერი“, რომელიც მენარმეებს სთავაზობს დამწყები ბიზნესის ფინანსურ და არაფინანსურ მხარდაჭერას. 2017 წლიდან ამ პლატფორმაზე დარეგისტრირდა 34,800-ზე მეტი სტარტაპი. პროგრამის ფარგლებში „თიბისი ბანკმა“ 185 მილიონი ლარის 600 სესხი გასცა.

როგორც ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კომპანია, „თიბისი“ განსაკუთრებულ ყურადღებას ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში მოღვაწე ქალთა გაძლიერებას უთმობს: „თიბისი ბანკისა“ და USAID-ის ახალი ერთობლივი პროექტი ხელს უწყობს ქალების მონაწილეობას ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში (ICT); „თიბისი ბანკი“ ერთ-ერთი პარტნიორია USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში დაფუძნებული გრეის ჰოპერის სახელობის ჯილდოსი, რომლის მისიაც თანხვდება კომპანიის მისწრაფებას, ხელი შეუწყოს ქალთა აქტიურ მონაწილეობას ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში. ჯილდო მე-20 საუკუნის ამერიკელი კომპიუტერული მეცნიერისა და ერთ-ერთი პირველი პროგრამისტის, გრეის ჰოპერის სახელს ატარებს. 2021 წლის ივნისში გამარჯვებულები ექვს კატეგორიაში გამოვლინდნენ. მომავლის ლიდერი ქალისა და ტექნოლოგიური სტარტაპის კატეგორიებში გამარჯვებულებს „თიბისი“ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ „პროგრამებს შესთავაზებს და მხარს დაუჭერს მათ პროფესიულ განვითარებას ან/და ბიზნესის გაფართოებას.



ჩრდილოეთი მაკედონია

სემენტარნიცა უზიე ად სკოპიე

/ CEMENTARNICA USJE AD SKOPJE

„სემენტარნიცა უზიე ად სკოპიე“ ცემენტის და სხვა სამშენებლო მასალების მწარმოებელია. კომპანია „ტიტანის“ ჯგუფის წევრია, საქმიანობს საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკის შესაბამისად და პასუხისმგებლობით და კეთილ-სინდისიერებით ეხმარება საზოგადოების საჭიროებებს.

2018 წლის ბოლოსათვის „სემენტარნიცა უზიე ად სკოპიემ“ ალტერნატიული საწვავის, მათ შორის, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან მიღებული საწვავისა (RDF) და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებისგან მიღებული ბიომასის (ბრინჯის ჩენჩო) გამოყენება დაიწყო კლინკერისა და ცემენტის წარმოებაში. 2021 წელს კიდევ ერთი ალტერნატიული საწვავის სახით იგეგმება ტექსტილის ინდუსტრიის ნარჩენების გამოყენების დანერგვა. კომპანიამ წარმატებით ჩაანაცვლა ტრადიციული საწვავის დაახლოებით 5-8%-ით თითოეულ როტაციულ ღუმელზე, რაც სრულად გამოყენებული საწვავის დაახლოებით 3,5%-იან თერმული ჩანაცვლების კოეფიციენტს უდრის. პროექტის გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, „სემენტარნიცამ“ დეტალურად შეაფასა გარემოზე ზემოქმედება, ჩაატარა სრულფასოვანი საბაზრო კვლევა შესაძლო განახლებადი რესურსებისთვის, მოამზადა და მიიღო ლიცენზია ალტერნატიული საწვავის იმპორტირებისთვის ადგილობრივ კომპანიებთან თანამშრომლობით, რომლებსაც შეეძლოთ ალტერნატიული საწვავის მიწოდება. კომპანიის გეგმების შესახებ ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირების მიზნით კომპანიამ ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები, სემინარები და დაგეგმა ქარხანაში ვიზიტები.

სუფთა და მწვანე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით „სემენტარნიცა უზიემ“ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, როგორც გარემოზე, ასევე საზოგადოებაზე. ალტერნატიულმა საწვავმა წიაღისეული საწვავისა და ნედლეულის გამოყენების შემცირება, შესაბამისად, სათბურის აირების ემისიის შემცირება გამოიწვია. ამასთან, შექმნა ენერჯის მიღების შესაძლებლობა ნარჩენების გატანის სანაცვლოდ, რითაც ხელი შეეწყო მყარი ნარჩენების მდგრადი მართვის პოლიტიკას ჩრდილოეთ მაკედონიაში, მათ შორის, თავიდან იქნა აცილებული ნარჩენების მიწაში განთავსება ან წვა და თანმხლები ემისიები (ჰაერი, ხმელეთი და წყალი). დაბოლოს, სუფთა და მწვანე ტექნოლოგიებმა და ინოვაციებმა გაადვილა დასაქმების შესაძლებლობები ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.

2030 წლის დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, „სემენტარნიცა უზიემ“ მომდევნო ათწლეულისთვის ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის მიზნები დაისახა მთავარი ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების უწყვეტი გაუმჯობესებისა და გაზომვადი შედეგების უზრუნველყოფისთვის.



პოლონეთი

ლორეალი პოლონეთი

/ L'ORÉAL POLAND

1992 წელს ვარშავაში დაფუძნებული „ლორეალი პოლონეთის“ მიზანია თითოეული ადამიანის კოსმეტიკური მომსახურება. 2017 წლის მარტში შექმნილი „ლორეალ პოლონეთი და ბალტიის ჰაბი“ (L'Oréal Poland & Baltic Hub), რომლის სათავეს ოფისი ვარშავაში, ხოლო ფილიალები რიგაში, ტალინსა და ვილნიუსში მდებარეობს, მიზნად ისახავს მყიდველების უკეთ მომსახურებას და მომხმარებელთან თანამშრომლობით, რეგიონში სილამაზის ბაზრის შემდგომ განვითარებას და პოზიტიურ გარდაქმნას.

ფრანგული მულტინაციონალური კოსმეტიკური კომპანია „ლორეალი“ იღებს ვალდებულებას მეცნიერულად დასაბუთებული მიზნების ინიციატივის მიხედვით – 2016 წლიდან დაიწყო და 2030 წლისათვის 25%-ით შეამციროს 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის სათბურის აირების აბსოლუტური ემისია. ამ მიზნის მისაღწევად, 2016 წლიდან 2025 წლამდე „ლორეალი“ 1-ელი და მე-2 დონის ემისიების აბსოლუტურ მასშტაბს 100%-ით შეამცირებს საკუთარ საწარმოო უბნებზე. სათბურის აირების ემისიებთან დაკავშირებული მიზნები კომპანიის ოპერაციებიდან (1-ელი და მე-2 დონეები) შეესაბამება საჭირო შემცირებას იმისათვის, რომ დათბობა 1,5°C-მდე შენარჩუნდეს.

„ლორეალის“ ვარშავის ქარხანა, მსოფლიოში „ლორეალის“ ქარხნებს შორის უდიდესია საწარმოო მოცულობის მხრივ და „ლორეალის“ მსოფლიო ბიზნესისა და ეკონომიკური, სოციალური და მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ძირითად ობიექტს წარმოადგენს. გენდერულ უთანასწორობასთან, წყლის რესურსების მართვასა და მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული აქტივობების შემუშავებით კომპანიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

როგორც ორგანიზაციამ, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერებას, გენდერულ თანასწორობასა და მრავალფეროვნებას, 1998 წელს UNESCO-თან თანამშრომლობით დააფუძნა პროგ-





რამა „ქალები მეცნიერებაში“ მეცნიერ ქალთა მხარდაჭერისა და აღიარების მიზნით. დღემდე 106-მა ნიჭიერმა ახალგაზრდა მეცნიერმა ქალმა მიიღო „ლორეალის“ სტიპენდია იმედისმომცემი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

მართვის თვალსაზრისით, „ლორეალი“, წლებია, მუშაობს წყლის ზედმეტი მოხმარების საწინააღმდეგო პროექტებზე გლობალური შეთანხმების პოლონეთის ქსელის მიერ განხორციელებულ წყლის მართვის პროგრამასთან თანამშრომლობით. „ლორეალის“ ვარშავის ქარხანაში დამონტაჟებული წყლის გადამამუშავებელი სადგურის მეშვეობით, ორგანიზაციამ 2020 წელს 26,00 მ³-ზე წყალზე მეტი დაზოგა, რაც 7.5 ოლიმპიურ საცურაო აუზს უდრის და 50%-ით შეამცირა წყლის მოხმარება, მაშინ როდესაც წარმოება 220%-ით გაიზარდა. ამასთან, წყლის გადამამუშავებამ კომპანიას 3000-5000 მ³ წყლის აღდგენის შესაძლებლობა მისცა, რაც 6-7 მილიონ 1,5-ლიტრიან ბოთლს უდრის.

„ლორეალს“ ასევე დადებული აქვს გარემოს დაცვის პირობა. კომპანიის ქარხანა დაცულ ადგილას მდებარეობს, შესაბამისად „ლორეალმა“ ბიომრავალფეროვნების ფონდთან თანამშრომლობით განახორციელა ბიომრავალფეროვნების ინვენტარიზაცია და განსაზღვრა დაცული ზონა. გამოჩენილმა მეცნიერებმა შეისწავლეს ქარხნის ტერიტორიაზე მცხოვრები ორგანიზმები და ამ სახეობების შესახებ დეტალურმა ინფორმაციამ შესაძლებელი გახადა შესაბამისი გარემოსდაცვითი ღონისძიებების შემუშავება. კომპანიის ბიომრავალფეროვნების პრინციპების შესაბამისად, „ლორეალი პოლონეთი“ ჩაბმულია ცნობიერების ამაღლების კამპანიებში, რომელთა სამიზნეს კომპანიის თანამშრომლები და ახალგაზრდები წარმოადგენენ. ჩატარდა სემინარები, საგანმანათლებლო ღონისძიებები და ეკოლოგიის კურსები ბრვინოვის თემთან თანამშრომლობით. ამასთან, ორგანიზაცია მონაწილეობას იღებს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და აღდგენის საქმეში თავშესაფრების აგების, ხეების დარგვისა და ქარხნის ირგვლივ მდებარე ტბებში წყლის ხარისხის მონიტორინგის გზით.

დაბოლოს, სოლიდარობის პროგრამის ფარგლებში, რომელიც მხარს უჭერს კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლას, „ლორეალმა“ 2020 წელს პოლონეთის საავადმყოფოებს, აფთიაქებსა და საცალო მოვაჭრეებს 700,000-ზე მეტი კანის მოვლის, ჰიგიენისა და სადებიზნეფექციო საშუალება გადასცა. „ლორეალის“ ვარშავის ქარხანამ 2020 წლის მარტში საწარმოო საზები შეცვალა და ვიბროვა პერნოდთან (Wyborowa Pernod) თანამშრომლობით ჯამში 17.5 მილიონი შეკვრა ხელის სადებიზნეფექციო გელი გამოუშვა, რითაც დაეხმარა 20 ქვეყნის, მათ შორის, პოლონეთის 148 საავადმყოფოს, 23 დანესებულებას და 7 ფონდს.

აპა ვოიჩეხოვსკი

/ APA WOJCIECHOWSKI SP. Z O.O.

„აპა ვოიჩეხოვსკი“ 25 წლის წინ დაარსდა. იგი საქმიანობას ეწევა პოლონეთში, რუსეთში, უკრაინასა და ლიეტუვაში. კომპანიის ვარშავისა და ტრუმიასტოს ოფისებში დასაქმებულია 120 არქიტექტორი. მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, კომპანიის მიზანია განავითაროს ისეთი დიზაინგადაწყვეტილებები, რომლებიც უდიდეს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს მოიტანს. „აპა ვოიჩეხოვსკის“ წამყვანი როლი ეკოლოგიური დიზაინის მიმართულებით მკაფიოდ ჩანს იმ უამრავ შენობასა და მწვანე მშენებლობის სერტიფიკატებში, რომლებიც მიღებული აქვს კომპანიას.

ათ წელზე მეტია, „აპა ვოიჩეხოვსკი“ ახორციელებს ეკომეგობრული შენობების დაპროექტების პოლიტიკას, აქვს მწვანე სერტიფიკატები და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებებს, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ დონეზე. „აპა ვოიჩეხოვსკი“ დგას მკაფიოდ განსაზღვრულ გზაზე და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ეკომეგობრულ ინვესტიციებს, მათ შორის, საოფისე შენობების, საცალო, სასტუმრო და სამრეწველო პროექტებს. დროთა განმავლობაში გაიზარდა კომპანიის პროექტების რაოდენობა, რომლებმაც უმაღლესი დონის ეკოლოგიური სერტიფიკატები მიიღო. კომპანიის გამომვადი წარმატება მრავალ ისეთ წარმატებას მოყვა, რომელთა გამომვაც შეუძლებელია; ბევრი შრომა და მდგრადი, ჰუმანური და ეკომეგობრული შენობების წარმატებული პოპულარიზაცია, რომლებიც ატმოსფეროში უფრო ნაკლებ CO₂-ს გამოყოფენ, ესადაგება ორგანიზაციის მისიას. მრავალი პროექტით „აპა ვოიჩეხოვსკის“ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროკავშირის სამშენებლო სექტორში ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების საკითხში, რომელიც ევროკავშირის შესასრულებელი ამოცანაა 2050 წლისთვის.

მწვანე სამშენებლო პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებთან ერთად, „აპა ვოიჩეხოვსკი“ მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ინვესტორების, არქიტექტორების, სამშენებლო კომპანიებისა და უძრავი ქონების ბაზრის სხვა მონაწილეების ცოდნის ამაღლებას მდგრადი შენობებისა და ეკომეგობრული გადაწყვეტილებების შესახებ დისკუსიებით, კონფერენციებითა და საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობით.





ლეროი მერლინი / LEROY MERLIN

კომპანია „ადეოს“ (ADEO) წევრი „ლეროი მერლინი“ საქმიანობს კეთილმოწყობისა და მებაღეობის საცალო ვაჭრობის სფეროში და წარმოდგენილია მსოფლიოს 13 ქვეყანაში. კომპანიის 130,000 თანამშრომელი და 26 დამოუკიდებელი ფილიალი ყოველწლიურად 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს ემსახურება.

კომპანიის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, „ლეროი მერლინი“ არაერთი ინიციატივა შეიმუშავა კლიმატის ცვლილების, მათ შორის, ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების, ტყის გაშენების, წყლის რესურსების მართვისა და განახლებად ენერჯის წყაროებზე გადასვლის საკითხებთან დაკავშირებით.

2020 წელს „ლეროი მერლინი პოლსკამ“ პირველად მიიღო მონაწილეობა პოლონეთის სამთავრობო ორგანიზაციის – სახელმწიფო ტყეების – მიერ ჩატარებულ CO₂-ის სერტიფიკატების აუქციონში, რაც დაახლოებით 1100 ტონა CO₂-ის ემისიის კომპენსირებას ახდენდა. სერტიფიკატების გაყიდვით მიღებული თანხა – 14,256 პოლონური ზლოტი – გადაირიცხა შავი როჯოს დასაცავ სახელმწიფო ტყეების სამთავრობო ორგანიზაციის პროექტში. CO₂-ის ემისიის კიდევ უფრო შესამცირებლად, 2020 წელს „ლეროი მერლინი პოლსკამ“ ზგოჟე-ლეცში პოლონეთში პირველი მზის ელექტროსადგური ააშენა, რომელიც 296 პანელისგან შედგება. სუფთა ენერჯის წლიური გამომუშავება, სავარაუდოდ, 100 ათას კვტ. სთ.-ს მიაღწევს და CO₂-ის ემისიის წლიურად 78 ტონით შეამცირებს. ენერგოეკონომიური შუქდიოდური (LED) განათების არსებულ და ახალ მაღაზიებში, „ლეროი მერლინის“ გათვლებით, 2020 წლისათვის ენერჯის მოხმარება დამატებით 30-40%-ით, ხოლო CO₂-ის ემისია – 300 ტონით შემცირდა.

ამასთან, „ლეროი მერლინი“ მნიშვნელოვნად არის ჩართული ტყის გაშენების ღონისძიებებში. პოლონეთის სახელმწიფო ტყეებთან თანამშრომლობით, 2020 წელს „ლეროი მერლინი პოლსკამ“ დააფინანსა ნერგების შექმნა და დარგვა 30.64 ჰექტარ ფართობზე. ფაუნისთვის ახალი ჰაბიტატის შექმნასთან ერთად, ამ თანამშრომლობამ „ლეროი მერლინი პოლსკას“ წელიწადში დაახლოებით 153.2 ტონა CO₂-ის კომპენსირების საშუალება მისცა. ამ წარმატების შემდეგ, კომპანია 2021 წელს დამატებით 250 ჰექტარი ტყის გაშენებას გეგმავს. ამასთან, „ლეროი მერლინი პოლსკამ“ 9,000 ნერგი გადასცა ქალაქ ლოდის ტყეებს. სავაჭრო ცენტრ „მანუფაქტურაში“ მდებარე მაღაზიამ ხის ნერგები ქალაქ ლოდის საკრებულოს ეკოლოგიისა და კლიმატის დეპარტამენტის დირექტორს გადასცა, რითაც ნერგები აღადგინეს ქერქიჭამია ხოჯოს მიერ დაზიანებული 1 ჰექტარი ტყე.

დაბოლოს, „ლეროი მერლინი პოლსკას“ საკუთარი წვლილი შეაქვს პასუხისმგებლობიანი მოხმარების ინიციატივების გაძლიერებაში. პროექტით „მე მიყვარს წვიმის წყალი“ კომპანიის თანამშრომლები ხელს უწყობენ წყლის რესურსების ეფექტიანად გამოყენებას წვიმის წყლის შეგროვებისა და გადამუშავების გზით. ამასთან, კომპანიამ დაამზადა წვიმის წყლის შესაგროვებელი მოწყობილობები, რომლებიც ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის ქსელის ყველა მაღაზიაში. გაყიდულია 30 000-ზე მეტი წვიმის წყლის აგზი.

როკვულ პოლსკა / ROCKWOOL POLSKA

ქვაბამბის გადაწყვეტილებებით შენობებისა და სამრეწველო-ტექნიკური იზოლაციის კომპანია „როკვულ პოლსკა“, რომელიც „როკვულის“ ჯგუფის წევრია, დაახლოებით 10,500 თანამშრომელს ითვლის 38 ქვეყანაში.

„როკვულის“ ჯგუფის მიზანია 2019 საბაზისო წლიდან დაწყებული, 2034 წლამდე 38%-ით შეამციროს 1-ელი და მე-2 დონის სათბური აირების აბსოლუტური ემისია მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის შესაბამისად. ამავე დროს, კომპანიას აღებული აქვს ვალდებულება, 20%-ით შეამციროს მე-3 დონის აბსოლუტური ემისია იმავე პრინციპების შესაბამისად. ამოცანები, რომლებიც უკავშირდება კომპანიის ოპერაციების შედეგად სათბურის აირების ემისიებს (1-ელი და მე-2 დონეები) შეესაბამება შემცირებას, რაც საჭიროა დათბობის 2°C-ზე ნაკლებ დონეზე შესანარჩუნებლად.

„როკვულ პოლსკას“ აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება მდგრადი განვითარების დღეს არსებული მრავალი გამოწვევის გადასაჭრელად, მათ შორის ენერჯის მოხმარების, ხმაურით დაბინძურების, ხანძრის მიმართ მედეგობის, წყლის სიმწირის და წყალდიდობების საკითხებთან დაკავშირებით. მისი პროდუქცია ასახავს მსოფლიოს საჭიროებების მრავალფეროვნებას და, იმავედროულად, მხარს უჭერს დაინტერესებულ მხარეებს შეამცირონ ნახშირბადის ემისია.

2020 წელს „როკვულ პოლსკამ“ მნიშვნელოვნად წაინია წინ ნახშირორჟანგის ემისიის მხრივ. მდგრადობის ექვსი ამოცანიდან, რომლებიც კომპანიამ დაისახა მომდევნო ორი წლისთვის, ორი უკვე შესრულდა, კერძოდ, ნარჩენების პოლიგონზე გატანილი ნარჩენების რაოდენობის შემცირება 50%-ით და ქარხნებში წყლის ეფექტურობის ზრდა 10%-ით. ამასთან, ევროკავშირის კლასიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისად, გარემოს დაცვის ექვსი მიზნიდან „როკვულ პოლსკა“ ერთ, დამატებით მიზანთან დაკავშირებით იღებს პასუხისმგებლობას, ვინაიდან კომპანიის საიზოლაციო ბიზნესის შემოსავლების 95% ჩარჩოში უკვე შეესაბამება კლიმატის ცვლილების გამოსწორების კატეგორიას.

★ CO₂-ის ემისია SDG 13

მიზანი: CO₂-ის ემისიის ინტენსივობის შემცირება CO₂ /ტ ქვაბამბა) ქვაბამბის მწარმოებელ ობიექტებზე 20%-ით 2030 წლისთვის (10%-ით 2022 წლისთვის)

Year	Reduction (%)
2015 (საბაზისო)	0%
2022 (სამიზნე)	9%
2030 (მიზანი)	10%

★ წყლის მოხმარება SDG 6

ჩვენი მიზანი: წყლის ინტენსივობის შემცირება (მ3/ტ ქვაბამბა) ქვაბამბის მწარმოებელ ობიექტებზე 20%-ით 2030 წლისთვის (10%-ით 2022 წლისთვის)

Year	Reduction (%)
2015 (საბაზისო)	0%
2022 (სამიზნე)	10%

★ ენერგოეფექტურობა SDG 7

ჩვენი მიზანი: ენერჯის მოხმარების ინტენსივობის შემცირება (კვტ.სთ/მ2) გაურემონტებელ ოფისებში 75%-ით 2030 წლისთვის (35%-ით 2022 წლისთვის)

Year	Reduction (%)
2015 (საბაზისო)	0%
2022 (სამიზნე)	5%
2030 (მიზანი)	35%

★ უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, კეთილდღეობა SDG 8

ჩვენი მიზანი: დაზიანებების 10%-ით შემცირება და წლიური ნულოვანი სიკვდილიანობის უზრუნველყოფა

ნულოვანი სიკვდილიანობა 2020 წელს

Year	Value (%)
2019 (საბაზისო)	-3%
2020 (სამიზნე)	10%

★ ნარჩენების მეორადი გამოყენება SDG 12

ჩვენი მიზანი: იმ ქვეყნების რაოდენობის გაზრდა, სადაც გვაქვს ჩვენს პროდუქციაზე ნარჩენების გადამუშავების სერვისები 30-მდე 2030 (15 2022)

Year	Number of Countries
2015 (საბაზისო)	14
2022 (სამიზნე)	15
2030 (მიზანი)	30

★ პოლიგონზე გატანილი ნარჩენები SDG 12

ჩვენი მიზანი: პოლიგონური ნარჩენების შემცირება (ტონა) ქვაბამბის მწარმოებელი ობიექტებიდან 85%-ით 2030 წლისთვის (40%-ით 2022 წლისთვის)

Year	Percentage (%)
2015 (საბაზისო)	40%
2022 (სამიზნე)	50%



WtE Poznań provides electricity to 13 universities in Poland!

- University of Opole
- Opole University of Technology
- Poznań University of Technology
- Maritime University of Szczecin
- University School of Physical Education in Wrocław
- Wrocław University of Science and Technology
- Wrocław University of Economics and Business
- Wrocław University of Environmental and Life Sciences
- University of Wrocław
- The Karol Lipiński Academy of Music in Wrocław
- Eugeniusz Geppert Academy of Fine Arts in Wrocław
- General Tadeusz Kościuszko Military University of Land Forces
- Science and Technology Park – University of Zielona Góra
- University of Zielona Góra

EIW in Poland

SUEZ

სუეცის ჯგუფი / SUEZ GROUP

„სუეცის ჯგუფი“ შედგება სპეციალიზებული კომპანიებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციური ცირკულარული ეკონომიკის მოდელს ოთხ ძირითად სექტორში. ეს სექტორებია: წყალი, ნარჩენების გადამუშავება და აღდგენა, დამუშავება და კონსალტირება.

ფრანგული კომპანია „სუეცის“ მიზანია საბაზისო, 2014 წლიდან 30%-ით შეამციროს 1 და 2 დონეების აბსოლუტური ემისია 2030 წლისთვის, მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის შესაბამისად. „სუეცის“ მომხმარებლები არიან: მოქალაქეები, კომერციული საწარმოები და ადგილობრივი თვითმმართველობები. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს მუნიციპალური და სამრეწველო ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და აღდგენის სრულყოფილ მომსახურებას, ასევე სპეციალიზებულ მომსახურებას, როგორცაა, მაგალითად, ნიადაგის აღდგენა და სეპარატორთან მუშაობა. პოლონეთის ბაზარზე „სუეცი“ გამოირჩევა ინოვაციური ციფრული პროდუქტებით, როგორცაა, მაგალითად, პირველი ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმა ნარჩენების მართვის მიმართულებით.

ევროკომისიის მიზნისათვის, რომ მინიმუმ 55%-ით შეამციროს სათბურის აირები, „სუეცმა“ რამდენიმე მწვანე და სუფთა ტექნოლოგია შეიმუშავა, მათ შორის, ნარჩენებზე მომუშავე ელექტროსადგური. წვისა და გენერაციის ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული პოლონეთის ნარჩენების ელექტროსადგური, რომელიც აშენდა 2016 წელს „ენერჯია პოლსკასთან“ თანამშრომლობით, გამოიმუშავებს როგორც ელექტროენერჯიას, ასევე სითბოს და გადამამუშავებელი სიმძლავრით პოლონეთში ნარჩენების უდიდეს ელექტროსადგურს წარმოადგენს. საჯარო-კერძო თანამშრომლობით შექმნილი ელექტროსადგური წელიწადში 210 000 ტონა ნარჩენებს გადაამუშავებს. მუნიციპალური მყარი ნარჩენებისგან ელექტროენერჯიის გამოიმუშავებით ელექტროსადგური თითქმის 100 000 მგვტ/სთ ელექტროენერჯიით ამარაგებს 13 უნივერსიტეტსა და პოლონეთის 5 ქალაქს. პროექტი შეესაბამება პოლონეთში დაგეგმილ და აუცილებელ ენერგეტიკულ ტრანსფორმაციას, რადგან წიაღისეული საწვავის წილი ენერჯიის შიდა წარმოებაში ჯერ ისევ 70%-ს შეადგენს.

წიაღისეული საწვავის წვასთან შედარებით დაბალი ემისიის გარანტიასთან ერთად, ნარჩენების ელექტროსადგურის ტექნოლოგია ალტერნატიული ენერჯიის საუკეთესო წყაროა, რადგან მისი ენერჯიის 40%-ზე მეტი განახლებადი ითვლება, შესაბამისად, ევროკავშირის ქვეყნებს ეხმარება განახლებადი ენერჯიის დირექტივით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში. წვის პროდუქტების მრავალსაფეხურიანი გამწმენდი სისტემით მტვრის ემისიაც მინიმუმამდე მცირდება.

სიემსი ესპი / SIEMENS SP. Z O.O.

„სიემსი ესპი“ (Siemens AG) ნაწილი „სიემსი ესპი“ არის ტექნოლოგიური კომპანია, რომელიც მუშაობს გლობალური ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანეს ინდუსტრიებში, მათ შორის, გადამამუშავებელ მრეწველობაში, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სფეროში.

„სიემსი ესპი“ მიზანია საბაზისო, 2019 წლიდან, 2030 წლამდე 50%-ით შეამციროს 1-ელი და მე-2 დონის სათბურის აირების აბსოლუტური ემისია და 15%-ით შეამციროს მე-3 დონის სათბურის აირების აბსოლუტური ემისია.

მომხმარებელსა და მსოფლიოზე გავლენისათვის და, ამავე დროს, ინდუსტრიის გარდასაქმნელად, კომპანია „სიემსი ესპი“ შეიმუშავა რამდენიმე ინოვაცია და გადაწყვეტა, როგორცაა, მაგალითად, უფრო მოქნილი და პროდუქტიული ქარხნები, უფრო ჭკვიანი და ეფექტური შენობები და ქსელები და უფრო მდგრადი ტრანსპორტი. მიწოდების ჯაჭვის ნახშირბადნიტრალურობისა და 2030 წლისთვის CO₂-ის ემისიის 20%-ით შემცირების მიზნის შესაბამისად, „სიემსის“ ნეიტრალურობის პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გარემოს დაცვისა და ორგანიზაციის ხარჯების შემცირებაში. ნულოვანი ემისიის დონის მისაღწევად საჭირო ნაბიჯების გადადგმით, „სიემსი“ იძენს დამატებით გამოცდილებას და ცოდნას ეკომეგობრული ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც სასარგებლოა, როგორც მომწოდებლების, ასევე კლიენტებისათვის.

„სიემსის“ ძირითადი აქტივობები ნულოვანი ემისიის დონის მისაღწევად მოიცავს ენერგოეფექტურობის ზომებსა და პროექტებს, მაგალითად, ავტოპარკის ემისიის შემცირებას, მწვანე ენერჯის გამოყენებას, სამშენებლო საქმიანობის ოპტიმიზაციას და გარემოსდაცვით პორტფელს ეკოლოგიურად პასუხისმგებლობიანი მოხმარებისთვის. ნახშირბადნიტრალური მომავლის ხელშეწყობა, CO₂-ის ემისიის შემცირება და ნიაღისეულის პასუხისმგებლობიანი მოხმარება ის საკითხებია, რომლებზეც გადამწყვეტი როლი ითამაშა პასუხისმგებლობიანი მიწოდების ჯაჭვის შექმნის თვალსაზრისით „სიემსის“ მუშაობაში.

2015 წელს „სიემს რიალ ესთეითმა“ (Siemens Real Estate) წამოიწყო ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის ინტენსიური პროგრამა „სიემსის“ ყველა ოფისისათვის მსოფლიოს მასშტაბით. სიემსის ახალი ოფისის შენობა ვარშავაში ისეა დაპროექტებული, რომ აკმაყოფილებს ენერგოეფექტური და ეკოლოგიური დაპროექტების სტანდარტის (LEED) ოქროს დონის მოთხოვნებს. ელექტრომოთხილების მატებით და დამუხტვის ინფრასტრუქტურის გაფართოებით „სიემსმა“ მნიშვნელოვნად შეამცირა საკუთარი ავტოპარკის ემისია.

ეკოლოგიური პორტფელით „სიემს ესპის“ დიდი წვლილი შეაქვს კლიმატის ცვლილების გამოსწორებაში. „სიემსი“ მუშაობს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გლობალურ


ჟაბკა / ZABKA

„ჟაბკა“ თანამედროვე მინიმარკეტების პოლონური ქსელია, რომელიც 7100-ზე მეტ საცალო ვაჭრობის წერტილში ფუნქციონირებს და იმართება დაახლოებით 600 ფრანჩიზის მიერ. კომპანიის ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიას 4 მიმართულება აქვს. ეს მიმართულებებია: მდგრადი ცხოვრების წესი, მზრუნველი ბიზნესი, პასუხისმგებლიანი ორგანიზაცია და მწვანე პლანეტა. „ჟაბკის“ მიზანია, განახორციელოს მდგრადი და ინოვაციური გადაწყვეტილებები. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში 2016-2021 წლებში „ჟაბკამ“ განაახლა კომპანიის ე. წ. რებრენდინგი და რემოდელირება 4 000-ზე მეტ მაღაზიაში და 2021 წელს გახსნა 3,000 საცალო ვაჭრობის პუნქტი, რომელიც ადჭურვილი იყო ეკომეგობრული გადაწყვეტილებებით.

„ჟაბკა“ ამ პროცესს თვლის, როგორც უდიდეს რებრენდინგს ევროპაში და უმსხვილეს ინვესტიციას საცალო ვაჭრობის ქსელში. რემოდელირებით რამდენადმე ეკოლოგიურად გაუმჯობესდა „ჟაბკის“ მაღაზიები. მაღაზიები და საყინულეები ჩანაცვლდა ნაკლები სათბურის ეფექტის წარმომქმნელი გამაგრებელი მოწყობილობებით, განათების სისტემები გამოიცვალა ენერჯის მზოგავი LED სისტემებით, ამასთან დამონტაჟდა ჭკვიანი სენსორები მაღაზიების სანყოფებში. როგორც ენერჯის მართვის ძალისხმევის ნაწილი, „ჟაბკა“ იყო პოლონეთის ბაზარზე არსებულ იმ რამდენიმე კომპანიას შორის, რომელმაც დანერგა ენერჯის მართვის სერტიფიცირებული სისტემები ISO 50001 სტანდარტების შესაბამისად. მეტიც, „ჟაბკამ“ ენერგოეფექტურობას ხელი შეუწყო ფრანჩიზების რეგულარული სწავლების ორგანიზებით.

სამაცივრო მოწყობილობისა და განათების გამოცვლით, ასევე, „ჟაბკას“ თანამშრომლებს შორის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებით, ქსელმა შეამცირა CO₂-ის ემისია 120 ათასი ტონით. დაბოლოს, აერატორების მონტაჟით „ჟაბკამ“ 50%-ით შეამცირა წყლის მოხმარება. რემოდელირების შემდეგ „ჟაბკას“ მომხმარებელთა და ფრანჩიზების კმაყოფილება გაიზარდა, ამავე დროს, შემცირდა მისი ზემოქმედება გარემოზე.





რუსეთი

საჯარო სააქციო საზოგადოება სოვკომბანკი / SOVCOMBANK PJSC

„სოვკომბანკი“ ერთ-ერთი უმსხვილესი და სწრაფად მზარდი დამოუკიდებელი უნივერსალური საბანკო ჯგუფია რუსეთში და რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ აღიარებულია სისტემურად მნიშვნელოვან საკრედიტო ინსტიტუტად. ბანკს გააჩნია 1.5 ტრილიონი რუსული რუბლის ოდენობის აქტივები, აქვს 2.2 ათასი ოფისი, ჰყავს 8 მილიონი კლიენტი და 17 ათასი თანამშრომელი.

2021 წლის თებერვალში „სოვკომბანკმა“ გამოუშვა გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობისა და მმართველობისათვის გამიზნული სესხის პირველი ტრანში 200 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, მარტის დასაწყისში კი მეორე ტრანში – 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით თურქეთში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობისათვის. „სოვკომბანკმა“ შეამცირა საპროცენტო განაკვეთი სესხზე იმ პირობით, თუ მსესხებელი შეასრულებდა მთელ რიგ გარემოს დაცვით და სოციალურ ვალდებულებებს.

ვინაიდან ბირთვული ენერჯის გამოუმუშავებისას არ ხდება CO₂-ის პირდაპირი ემისია, ბირთვული ენერჯის გენერირება გადამწყვეტ როლს ასრულებს სათბურის გაზების გამოყოფის შემცირებაში პარიზის შეთანხმების შესაბამისად და მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. „როსატომისა“ და „სოვკომბანკის“ თურქეთში აქტიურ ატომური ელექტროსადგურის, როგორც მდგრადი განვითარების პროექტის, მშენებლობის მნიშვნელობის საერთო შეფასებამ, საშუალება მისცა მათ, მოეძებნათ ერთობლივი ეფექტიანი გადაწყვეტილებები პროექტის დროული დაფინანსებისა და წარმატებით განხორციელებისათვის.



საჯარო სააქციო საზოგადოება სამთო-მეტალურგიული კომპანია ნორილსკ ნიკელი / PJSC MMC NORILSK NICKEL

„ნორილსკ ნიკელი“ მსოფლიოში პალადიუმისა და მალალხარისხოვანი ნიკელის ერთ-ერთ უმსხვილეს მწარმოებლად, ხოლო პლატინის, კობალტისა და სპილენძის მთავარ მწარმოებლად არის მიჩნეული. მწვანე ეკონომიკაზე გლობალური გადასვლა და დაინტერესებული მხარეების მხარედი მოლოდინები გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობისა და მმართველობის კუთხით, კომპანიას უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, გახდეს მეტალურგიული ბაზრის მთავარი პასუხისმგებლობიანი მოთამაშე, რომელიც სათავეში უდგას ნახშირბადის გამოყოფის შემცირებას. „ნორილსკ ნიკელი“ მისწრაფვის, შეინარჩუნოს თავისი ადგილი ნახშირბადის ინტენსივობის მხრივ პროდუქციის თითოეულ ერთეულზე და გეგმავს, დარჩეს ნიკელის წარმოების ქვედა კვარტილზე ნიკელის ერთ ერთეულზე ნახშირბადის დიოქსიდის ემისიის დონით.

2019 წელს კომპანიამ გააფართოვა კორპორაციის სტრატეგია ისე, რომ მისი განვითარების შემდგომი ეტაპი ემყარება გარემოს დაცვის უპრეცედენტო ინიციატივას, რომელიც გულისხმობს გოგირდის ჩაჭერის ეტაპობრივ დაწესებას და მწვანე წარმოებაზე გადასვლას. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად კომპანიამ წამოიწყო გოგირდის პროგრამა 2.0, რომელიც შეფასებულია დაახლოებით 3.6 მილიარდ აშშ დოლარად და ითვალისწინებს გოგირდის დიოქსიდის ემისიის თანდათანობით შემცირებას ნორილსკის სამრეწველო რაიონში და კოლის ნახევარკუნძულზე. გოგირდის პროგრამის პოლარულ ფილიალში განსახორციელებლად საჭიროა 2023 წლისთვის ნორილსკის სამრეწველო რაიონში გოგირდის დიოქსიდის ემისიის შემცირება 45%-ით და 2025 წლისთვის – 90%-ით. ამისათვის ნადეუდას მეტალურგიულ ქარხანა მუშაობს პროექტზე ღუმელის გაზის ჩაჭერისა და ისეთი დანადგარის მშენებლობისათვის, რომელიც თაბაშირის წარმოების დროს გოგირდმუჟავას კირქვით გაანეიტრალებს. გოგირდის პროგრამა 2.0 კოლის სამთო-მეტალურგიულ კომპანიაში ასევე მიზნად ისახავს გოგირდის დიოქსიდის ემისიის 100%-ით შემცირებას რუსეთ-ნორვეგიის სასაზღვრო ზონაში და გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვან შემცირებას მონჩევორსკში გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესაბამისად.





საჭარო სააქციო საზოგადოება სევერსტალი / PAO SEVERSTAL

სსს „სევერსტალი“ არის ვერტიკალურად ინტეგრირებული სამთამადნო და მეტალურგიული კომპანია, რომლის ძირითადი აქტივები რუსეთშია თავმოყრილი, ინვესტიციებს კი სხვა რეგიონებშიც ახორციელებს.

„სევერსტალი“ ერთგულია, როგორც რუსეთის ეკონომიკის მდგრადი განვითარების, ასევე რუსეთში კლიმატის ცვლილების პოლიტიკისა, და მიზნად ისახავს 2023 წლისთვის 1 ტონა ფოლადზე სათბურის გაზების ინტენსივობის შემცირებას 3%-ით და ათვლის წერტილად მიიჩნევს 2020 წლის მონაცემს, რაც დაახლოებით ერთი მილიონი ტონა CO₂-ის ეკვივალენტია.

„სევერსტალმა“ ხელი შეუწყო ფინანსური ნაკადების გადინებას ნახშირბადის შემცირების მიმართულებით და დებს ინვესტიციას განახლებად ენერჯიაში რუსეთში ქარის ელექტროსადგურების მონყობილობების წარმოებისათვის საერთაშორისო საპილოტე პროექტში მონაწილეობის მიღებით. 2018 წელის 12 დეკემბერს „ვინდარ რენოვაბლესა“ და „რუსნანოსთან“ ერთად დაფუძნებული ერთობლივი საწარმო შპს „ვრს ტაუერსი“ სავარაუდოდ წლიურად 300 მგვტ სიმძლავრეს მიაღწევს.

მხარს უჭერს კლიმატთან დაკავშირებულ ინიციატივებს და აქტიურად ერთვება ისეთ ექსპერტულ პლატფორმებში, როგორებიცაა: ნულოვანი ფოლადის ინიციატივა; კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ 100+ ინიციატივა – ინვესტორის ინიციატივა, იმის უზრუნველყოფისათვის, რომ მსოფლიოს უმსხვილესი სათბურის გაზების ემისიის წყაროები საჭირო ზომებს იღებდნენ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ; ნულოვანი ფოლადის გავრცელების მეთოდოლოგიის პროექტი; მეთოდოლოგიური მიდგომების განვითარება და წინსვლა, გაეროს მსოფლიო სამიტის ჯილდოების პოზიტიური ცვლილების პროგრამით საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების შერჩევა. ნახშირბადის გამოყოფის შემცირების პრინციპის შესაბამისად, „სევერსტალის“ საქმიანობა მოიცავს, როგორც სათბურის გაზების ემისიის შემცირებას წარმოების მთლიან ჯაჭვში, ასევე ალტერნატიულ შესაძლებლობებს არააღდგენადი ემისიებისთვის, რაც ზღუდავს ტემპერატურის ზრდას. კომპანიის აქტივების ადაპტირების ღონისძიებებით, მისი ფინანსური ნაკადების განახლებადი ენერჯიებისაკენ მიმართვითა და პასუხისმგებლობიანი ინვესტირების მხარდაჭერით, რაც ითვალისწინებს



ინვესტირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაზე CO₂-ის ფაქტორის გავლენას, „სევერსტალი“ საფუძველს უქმნის კლიმატის ცვლილებების მიმართ მედეგობას.

„სევერსტალის“ მიერ ბუნებრივი აირის მოხმარების, აირის წვის და მესამე მხარისაგან ელექტროენერჯის შესყიდვის შემცირება წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიის ნაწილს, შეესაბამებოდეს სათბურის გაზების შემცირების მიზნებს, რომლებიც 2020 წელს იქნა გაცხადებული. ჩერეპოვეცის მეტალურგიული კომბინატის, „სევერსტალის“ მთავარი მეტალურგიული დანაყოფის, ენერგოეფექტიანობის სტრატეგიით განვიხილოთ ღონისძიებები ხელს უწყობს „სევერსტალის“ მიერ შიდა წარმოების ელექტროენერჯის მოხმარების ზრდას, რითაც ზრდის ენერგოეფექტიანობას და ამცირებს გარე წყაროებიდან ელექტროენერჯის შესყიდვას. ეს ღონისძიებები შესაძლებლობას აძლევს ჩერეპოვეცის მეტალურგიულ კომბინატს ელექტროენერჯის 95% მიიღოს სევერსტალის საკუთარი რესურსებიდან 2023 წლისათვის, რაც სასარგებლო იქნება როგორც ეკონომიკურად, ასევე გარემოს დაცვის მხრივ. მოსალოდნელია, რომ 95% შიდა ელექტროენერჯის მოხმარება ყოველწლიურად 2.7 მილიარდ რუბლს დაზოგავს და ასევე შეამცირებს სათბურის გაზების ემისიას წლიურად 270 ათასი ტონა CO₂-ს სახით. უფრო მეტი, კომპანია თავისი მოკლევადიანი მიზნის მიღწევით, რაც გულისხმობს ემისიის ინტენსივობის 3%-იან შემცირებას, შეამცირებს „სევერსტალის“ დამაბინძურებელ ემისიებს წელიწადში 12,000 ტონის მოცულობით. საინვესტიციო პროგრამის განხორციელების შედეგად კომპანია გეგმავს 20%-ზე მეტით გაზარდოს მეორადი აირების გამოყენება ელექტროენერჯის წარმოებაში.

„სევერსტალი“ კვლავ ყურადღებას ამახვილებს ინვესტირებაზე აღმოჩენების ტექნოლოგიებში, რასაც მოჰყვა „აირბორნის“ (Airborne), როგორც უახლესი კომპოზიტური გადაწყვეტილებების დეველოპერის მეორედ ინვესტირება „სევერსტალ ვენჩურსის“ სარისკო კაპიტალის პროგრამის ფარგლებში. „აირბორნის“ ინვესტირებით „სევერსტალი“ აგრძელებს სვლას თავის მიზნისკენ – მიაღწიოს ლითონებისა და კომპოზიტების ინტეგრაციას ინოვაციურ გადაწყვეტილებებში, რომლებსაც ის სთავაზობს თავის მომხმარებლებს. კომპანიას სჯერა, რომ ტექნოლოგიებს შეუძლიათ კომპოზიტების ბაზრის შეცვლა მომდევნო ხუთი-შვიდი წლის განმავლობაში საბოლოო პროდუქციაზე ფასის მნიშვნელოვანი შემცირებით. „სევერსტალი“ ახლახან გახდა რუსეთის პირველი გარემოს დაცვითი სტარტაპის დამაჩქარებლის „გრინტექ სტარტაპ ბუსტერის“ პარტნიორი. ამ ინიციატივის მიზანია, სკოლკოვოს ფონდთან კოორდინაციით, განავითაროს პარტნიორული ურთიერთობები სტარტაპებთან იმისათვის, რათა მოიძებნოს და განხორციელდეს ინოვაციური გადაწყვეტილებები ეკოლოგიის, მრეწველობის უსაფრთხოების და მდგრადი განვითარების სფეროებში.



საჯარო საექსპორტო საზოგადოება (ფოსაგრო / PAO PHOSAGRO)

„ფოსაგრო“ არის რუსული ქიმიური ჰოლდინგური კომპანია, რომელიც აწარმოებს სასუქს, ფოსფატებს და საკვებ ფოსფატებს. „ფოსაგროს“ უმთავრესი კორპორაციული სტრატეგია არის ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობა, სოციალური ინვესტირება და კორპორაციული მართვა. 2020 წელს კომპანიამ შეიმუშავა ყოვლისმომცველი მიდგომა, რათა შეეთავსებინა კომპანიის ზეგავლენა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაზე და განესაზღვრა ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტები.

კლიმატის ცვლილების სტრატეგიის შესაბამისად, „ფოსაგრომ“ განახორციელა კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შეფასება, დასაბამოდაც მეცნიერულად დასაბუთებული მიზნები და შეიმუშავა ნახშირბადის შემცირებაზე გადასვლის გეგმა. 2020 წელს „ფოსაგრომ“ წარმოადგინა პროექტი განახლებადი ენერჯის წყაროების მრეწველობასა და სოციალური სფეროს ობიექტებში გამოყენების მხარდასაჭერად. ეს პროექტი იყო კომპანიის მწვანე გეგმის ნაწილი. 25 კვტ-ის სიმძლავრის მზის ენერჯის ელექტროსადგური უკვე დამონტაჟებულია ბალაკოვოში საპილოტე ადგილზე. 2021 წლის გაზაფხულზე დამატებითი პანელები დამონტაჟდება იზუმრუდის კომპლექსში და, სავარაუდოდ, სისტემის მთლიანი სიმძლავრე 45 კვტ-მდე გაიზრდება.

„ფოსაგრომ“ ასევე განახორციელა პროექტი, რომლითაც მომწოდებლის ფინანსური და იურიდიული დოკუმენტაცია შეამოწმა გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობისა და მმართველობის (ESG) ჭრილში. ამისათვის შეიმუშავა რეგულარულად განახლებადი კითხვარი, რომელიც შეიცავდა ESG-სთან, მათ შორის, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ 60 კითხვას და მომწოდებლების/კონტრაქტორების საქმიანობის შესაფასებლად და სარეიტინგო კრიტერიუმებს. მომწოდებელთა და კონტრაქტორთა მიმართ მთავარი მოთხოვნები იყო გარემოსდაცვითი, კორპორაციული მმართველობისა და სოციალური პასუხისმგებლობის, ასევე, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხების შეტანა კომპანიების ქცევის კოდექსებში გარიგების მეორე მხარისათვის გასათვალისწინებლად. 2020 წლის შეფასება მოიცავს შესყიდვების 4%-ზე მეტს, რომლის წილიც, სავარაუდოდ, გაიზრდება და გაციფრულდება მომავალში.

ენ+ ჯგუფი / EN+ GROUP

„ენ+ ჯგუფი“ არის ჰიდროენერგეტიკისა და დაბალი ნახშირბადის შემცველობის ალუმინის ერთ-ერთი უმსხვილესი დამოუკიდებელი მწარმოებელი მსოფლიოს მასშტაბით. „ენ+ ჯგუფი“ 2019 წლის აგვისტოდან მეცნიერულად დასაბუთებული მიზნების ინიციატივის მომხრეა და 2021 წლის აგვისტოსთვის გეგმავს ამ მიზნების დამტკიცებას მეცნიერული დასაბუთების საფუძველზე. „ენ+ ჯგუფი“ ასევე არის კლიმატის ცვლილების მიზნის დაჩქარების ინიციატივის თაობაზე გაეროს გლობალური შეთანხმების მხარდამჭერი და სპონსორი. ეს ინიციატივა აქცენტს აკეთებს რაც შეიძლება მეტი კომპანიის ჩართვაზე კლიმატის ცვლილების დღის წესრიგში და მათ შესაბამისობაზე მეცნიერულად დასაბუთებულ მიზნებთან.

ამ ჯგუფის ბიზნესუპირატესობა მსოფლიო კლასის ჰიდროენერგეტიკის აქტივების ალუმინის მწარმოებელ საშუალებებში სრულ ინტეგრაციასთან არის დაკავშირებული. ეს უზრუნველყოფს ჯგუფს შესაძლებლობით, აწარმოოს მდგრადი მასალები, რაც აუცილებელია უფრო მწვანე და უფრო სუფთა ეკონომიკის შესაქმნელად.

მართალია „ენ+ ჯგუფმა“ აიღო 2030 წლისთვის სათბურის გაზების ემისიის სულ მცირე 35%-ით შემცირებისა და 2050 წლისათვის სრული განულების ვალდებულება (2018 წლის საბაზისო დონესთან შედარებით), მაგრამ აღიარებს, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ სხვა სუბიექტებთან პარტნიორობით. პარტნიორობის გზით „ენ+ ჯგუფი“ ხელს უწყობს ბაზრის ტრანსფორმაციას მწვანე ეკონომიკის და კლიმატის ცვლილების დღის წესრიგში დაჩქარებული მიზნების მიმართულებით.

პარტნიორობის სტრატეგიის ფარგლებში „ენ+ ჯგუფმა“ ლონდონის ლითონების ბირჟაზე განაცხადა ნახშირბადის ემისიის თაობაზე სავალდებულო ანგარიშგებაზე. ლონდონის ლითონების ბირჟას, როგორც გლობალურ ბირჟას, შეუძლია შექმნას ნახშირბადის გამოვლენის მნიშვნელოვანი პრეცედენტი. ამჟამად ნახშირბადის გამოვლენა ალუმინის მწარმოებელთა მიერ ხდება ნებაყოფლობით და კონტრაქტის საფუძველზე. ჭეშმარიტად მდგრადი მრეწველობის ტრანსფორმაციისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გარკვეული მინიმუმის სავალდებულო გამოვლენის დანერგვა, ნახშირბადის კვალის, ენერჯის წყაროების, სერტიფიცირების ჩათვლით (ასე მაგალითად, ალუმინის მართვის ინიციატივა). ლონდონის ლითონების ბირჟის მიერ შემუშავებული გამოვლენის წესებისა და განმარტებების დახმარებით, რომლებიც შეეხება ნახშირბადის დაბალი შემცველობის ალუმინს, მომხმარებლებს შეეძლება, შეარჩიონ ყველაზე მდგრადი მასალები, რომლებიც, პირიქით, ხელს შეუწყობენ უფრო მეტ დეკარბონიზაციას ინდუსტრიაში. „ენ+ ჯგუფის“ ძალისხმევით ლონდონის ლითონების ბირჟამ აიღო ვალდებულება ხელი შეუწყოს ლითონების მდგრად წარმოებას დაბალი ნახშირბადის შემცველობის ალუმინით წერტილოვანი ვაჭრობის პლატფორმისა და რეესტრის მეშვეობით, სადაც მწარმოებლებს შეეძლება, ნებაყოფლობით დაარეგისტრირონ ნახშირბადის კვალი.

„ენ+ ჯგუფი“ ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის დამცველებთან კლიმატის საკითხებში იმისათვის, რომ უზრუნველყოს ალუმინის სექტორის მიერ გაეროს კლიმატის ცვლილებების კონვენციის მხარეთა წინაშე ნაკისრ ვალდებულებების შესრულება.

ლონდონის ლითონების ბირჟისა და გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის გარდა, „ენ+ ჯგუფმა“ მიმართა ქვემოთ მითითებულ მიდგომას და ადვოკატირებას უწევს დეკარბონიზაციას და ტრანსფორმაციას პარტნიორობით კომპანიის დონეზე. კოალიციის „შესაძლებელი პარტნიორობის მისია და ალუმინი კლიმატისათვის“

ინიციატივის ფარგლებში, „ენ+ ჯგუფი“ ადვოკატირებას უწევს ისეთი სექტორების დეკარბონიზაციას, რომლებშიც ამ პროცესის განხორციელება რთულია. „ენ+ ჯგუფი“ მხარს უჭერს სექტორთაშორის თანამშრომლობას და ამ სექტორებში განახლებადი ენერჯის სხვადასხვა წყაროების, მათ შორის, ენერჯის გარდაქმნის გადაწყვეტილებების მიღებას.

„ენ+ ჯგუფის“ განაცხადმა ნულოვანი ინიციატივის შესახებ და ბაზრის ტრანსფორმაციისათვის განუქმნა ძალისხმევამ გავლენა იქონია დარგში ცვლილებების განვითარების ტემპზე. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ჩემპიონებმა გადანაცვლეს, გამოეყოს ალუმინის წარმოება, როგორც ერთადერთი გამორჩეული მრეწველობის დარგი გაეროს კლიმატის ცვლილებების კონვენციის მხარეთა შორის. ინიციატივას „ალუმინი კლიმატისათვის“ შეუერთდა 20 ყველაზე დიდი ალუმინის მწარმოებელი 2050 წლისათვის სექტორის დეკარბონიზაციის პირობით. აქამდე ამ მიზნის განხორციელება საუკუნის შუა ხნისათვის წარმოუდგენლად იყო მიჩნეული.





სერბეთი

ბოსისი / BOSIS

1982 წელს დაფუძნებული „ბოსისი“ დაბეჭდილი და ლამინირებული შეფუთვისა და ბლისტერების კერძო საკუთრებაში არსებული მწარმოებელია. კომპანიაში დასაქმებულია 140-ზე მეტი თანამშრომელი და ჰყავს დაახლოებით 200 მომხმარებელი. ეკოლოგია დაკავშირებულია კომპანიის ბიზნესის ყველა მიმართულებასთან და სტრატეგიულად არის ჩაქსოვილი მის კომერციულ საქმიანობაში. „ბოსისი“ მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობიანი და მდგრადი ბიზნესი გლობალური საკითხია, რაც გავლენას ახდენს მთლიანად საზოგადოებაზე და კომპანიის მისიაა, უზრუნველყოს მდგრადი განვითარების მიზნების გაგება, მიღება და მხარდაჭერა ყველა ადამიანის, მათ შორის, თანამშრომლების, მათი ოჯახის წევრების, მომხმარებლებისა და მომწოდებლების, ფილიალებისა და ადგილობრივი თემის წევრების მიერ.

„ბოსისი“ გაეროს გლობალური შეთანხმების ხელმომწერია და აქტიურად მონაწილეობს გარემოს დაცვის დონისძიებებში მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. მაგალითად, მისი ჯვრიანი დიზაინის ინიციატივა წარმოების პროცესების მწვანე და პასუხისმგებლობიანი გადანაცვტილებების კატალიზატორი აღმოჩნდა. კომპანიის პროდუქციის არსებობის მთლიანი ციკლის განხილვით „ბოსისი“ ცდილობს გარემოზე ნულოვანი ზემოქმედების პოლიტიკას მიჰყვეს, რომელშიც ეკომეგობრული შეფუთვა და მასალები, მწვანე მინოდების ჯაჭვი და ვარგი გადამუშავება მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარემოზე წარმოების ზემოქმედების შესამცირებლად.

„ბოსისის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა არის მწვანე მიმწოდებელთა ჯაჭვის შექმნა იმ მიმწოდებლებთან, რომლებთანაც კომპანია შეიმუშავებს ეკომეგობრული მასალების გადამუშავებით დამზადებული უმაღლესი ხარისხის პროდუქტებს. დღეისათვის „ბოსისის“ წარმოების პროცესში გამოყენებული მასალების 93.1% გადამუშავებულია, ხოლო დამზადებული შეფუთვის 100% ისეა წარმოებული, რომ, საბოლოოდ, ისინი ხელახლა გადამუშავდება. სატყეო ზედამხედველობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული პროდუქტების რაოდენობა კიდევ 105,5%-ით გაიზარდა 2019 წლის შემდეგ. აღნიშნული სერტიფიცირების პროცესი უზრუნველყოფს, რომ მერქნის პროდუქტები, რომლებიც ტყეებიდან მიიღება, ინარმოებოდეს სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობით. მწვანე ენერჯის წყაროებზე გადასვლასთან ერთად, ამგვარმა ინიციატივებმა უზრუნველყო კომპანიის მდგრადი ზრდა.

ამასთანავე, „ბოსისი“ წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ კერძო კომპანიას სერბეთში, რომელიც ანგარიშს ამატებს არაფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) ანგარიშგების ჩარჩოს შესაბამისად. კომპანიის მიზანია, რომ ზემოქმედება არ უნდა სცდებოდეს კომპანიის კედლებს, შესაბამისად, „ბოსისმა“ დააფუძნა მწვანე გარდაქმნის ალიანსი სერბეთში, რომლის მიზანია ჩამოაყალიბოს ახალი მწვანე თანამშრომლობები და გაავრცელოს საუკეთესო პრაქტიკა ქვეყნის ფარგლებში და მის გარეთ.



ჰემოფარმი ეიდი / HEMOFARM AD

„სტადა“ (STADA) ჯგუფის წევრი „ჰემოფარმი“ ადგილობრივი და რეგიონული ფარმაცევტული ბაზრის ლიდერი, მსხვილი ფარმაცევტული კომპანია და სერბეთის 10 უდიდეს ექსპორტიორთაგანია. „ჰემოფარმის“ ეტიკეტის მქონე მედიკამენტები ხელმისაწვდომია სამი კონტინენტის 34 ქვეყნის აფთიაქში.

მდგრადი განვითარება „ჰემოფარმის“ ბიზნესის დნმ-ის შეუცვლელ ნაწილად 2012 წლიდან იქცა, როდესაც კომპანიამ დაიწყო ანგარიშგება კორპორაციული მდგრადობის შესახებ. ხელახალი გადამუშავებით და პროდუქციის ტრანსპორტირების ოპტიმიზაციით „ჰემოფარმი“ მუშაობს გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად.

კომპანიის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, „ჰემოფარმი“ იყენებს გადამუშავებად მუყაოს ფარმაცევტული პროდუქციის შესაფუთად და მკაცრად ასრულებს ფარმაცევტულ სტანდარტებს. კომპანიამ წარმატებით გადაამუშავა შესაფუთი მასალების 82%, ხოლო 2019 წელს – 80%, რაც დაახლოებით 784.8 ტონას და 250 მილიონ შეფუთვას უდრის. შედეგად, შესაძლებელი გახდა დაახლოებით 157 ჰექტარი ტყის ან 200 საფეხბურთო მოედნის გადარჩენა.

გადამუშავებული მუყაოს გამოყენებას მოჰყვა მეორე ინიციატივა, რომელიც სატრანსპორტო ყუთების ზომის ოპტიმიზაციას ითვალისწინებდა ადგილის დაზოგვის მიზნით დასრულებული პროდუქციის საბითუმო მოვაჭრეებთან დისტრიბუციაში. უფრო პატარა სივრცეში მეტი პროდუქციის ჩასატევად სატრანსპორტო ყუთების ოპტიმალური ზომის განსაზღვრის ინიციატივამ „ჰემოფარმს“ მისცა საშუალება, წელიწადში 10%-ით შეემცირებინა სატვირთო მანქანების რაოდენობა ვრშაცში მდებარე ქარხნების ძირითად კომპლექსში.

„ჰემოფარმი“ ცდილობს, გაზარდოს გადამუშავებადი მუყაოს მოხმარება პროდუქციის შესაფუთად და, ამავდროს, მუშაობს გადამუშავებადი მუყაოს პალიტრების გამოყენების მიმართულებით და რეგულარულად რგავს ხეებს ეკოლოგიური საფრთხის მქონე ტერიტორიებზე.





თურქეთი

თურქ ტელეკომი / TÜRK TELEKOM


„თურქ ტელეკომს“ 180-წლიანი ისტორია აქვს და პირველ ინტეგრირებულ სატელეკომუნიკაციო ოპერატორს წარმოადგენს თურქეთში. ინდივიდუალური და კორპორაციული მომსახურების სფეროებში შექმნილმა მომსახურების ფართო ქსელმა და პროდუქტების ასორტიმენტმა „თურქ ტელეკომს“ საშუალება მისცა, 2016 წლის იანვრიდან ერთი ბრენდის ქედქვეშ გაერთიანებინა თავისი მობილური, სატელეფონო და სატელევიზიო პროდუქტები და სერვისები. „თურქეთის მრავალმთავარი თამაშების პროვაიდერი“ „თურქ ტელეკომი“ ავრცელებს მომსახურებას თურქეთის 81 ქალაქში იმ მიზნით, რომ ქვეყანაში დაინერგოს ახალი ტექნოლოგიები და დაჩქარდეს თურქეთის საინფორმაციო საზოგადოებად ტრანსფორმაცია.

წარჩენების მართვის სტრატეგიები, რომლებიც მიზნად ისახავს ბუნებრივი რესურსების სწრაფი მოხმარების პრევენციას და წარჩენების გარდაქმნას ისე, რომ მან ზიანი არ მიაყენოს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას და თავისი წვლილი შეიტანოს ეკონომიკაში, ქმნის მდგრადი განვითარების მიდგომის საფუძველს, რაც თანდათანობით, გლობალური მასშტაბით, პრიორიტეტული პოლიტიკის სამიზნედ ყალიბდება. აქედან გამომდინარე, „თურქ ტელეკომმა“ რამდენიმე პროექტი და კამპანია წამოიწყო წარჩენების მართვის სტრატეგიების ფარგლებში.

მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად ნულოვანი წარჩენების პროექტი (Zero Waste Project) წამოიწყო, რომლის მიზნებსაც წარმოადგენდა: ქვეყნის რესურსების დაცვა, წარჩენების შემცირება, სუფთა და განვითარებული თურქეთისა და მომავალი თაობებისთვის საცხოვრებლად გამოსადეგი სამყაროს შექმნაში წვლილის შეტანა. პროექტი უმეტესწილად შედგებოდა „თურქ ტელეკომის“ თანამშრომელთა მიერ ინიცირებული აქტივობებისგან და ითვალისწინებდა წარჩენების დახარისხებას მათი შეგროვებისა და გადამუშავების მიზნით. 2018-2019 წლებში ნულოვანი წარჩენების პროექტის განხორციელებისა და კომპანიის წარჩენების მართვისათვის განეული ძალისხმევის შედეგად 2019 წელს გადამუშავდა 186.2 ტონა ქაღალდის, 18.8 ტონა მინის, 1,372.5 ტონა პლასტმასისა და 3,006.7 ტონა მეტალის წარჩენები, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ნიადაგის, ზღვისა და ჰაერის დაცვის საქმეში. კომპანიაში დაგროვილი სამედიცინო წარჩენები გაიგზავნა უტილიზაციის ლიცენზირებულ საწარმოებში განახლებადი ენერჯის გენერირების ხელშეწყობისთვის.

„თურქ ტელეკომი“ ამავედროულად წარჩენების გადამუშავებისა და უტილიზაციის ღონისძიებებს მართავს ისე, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და შესაბამებოდეს რეგულაციებით განსაზღვრულ სტანდარტებსა და მეთოდებს. 2019 წელს „თურქ ტელეკომში“ განხორციელებული წარჩენების მართვის პროექტების შედეგების მიხედვით, გადამუშავდა 19 ტონა მინის წარჩენები, რამაც დაზოგა 789.5 კვტსთ ენერჯია. ხოლო 186 ტონა ქაღალდის წარჩენებისა და 1,373 ტონა პლასტმასის წარჩენების გადამუშავებამ, შესაბამისად, მოჭრისაგან გადაარჩინა 3,165 მრდასრული ფიჭვი და დაზოგა 22,371 ბარელი ზეთი. დაბოლოს, 3,007 ტონა ლითონის წარჩენების გადამუშავებით დაიზოგა 4 ტონა ნედლეული და თავიდან იქნა აცილებული 285,6 ტონა სათბურის გაზების ემისია.

„თურქ ტელეკომი“ ზრუნავს როგორც ელექტრონული წარჩენების მიერ გარემოზე მიყენებული ზიანის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, ასევე ამგვარი ზიანის შემცირებაზე ელექტრონული წარჩენების გადამუშავებისა და მიღებული რესურსების თურქეთისათვის ეკონომიკურ ღირებულებად გადაქცევის გზით. ჯამურად, 18 ტონა წარჩენები შეგროვდა და გაიგზავნა გადასამუშავებლად და საგანმანათლებლო მიზნით ელექტრონულ სასწავლო ტრენინგზე გამოსაყენებლად.



გორლე ენერჯი სოლუშენს / ZORLU ENERGY SOLUTIONS (ZES)

„გორლე ენერჯი სოლუშენსი“ არის ბრენდ „გორლე ენერჯის“ ნაწილი და მუშაობს სუფთა და განახლებადი მომავლისათვის ენერჯეტიკის სექტორში.

კომპანიამ საქმიანობა 2018 წელს დაიწყო და მიზნად ისახავს თურქეთში ელექტრომობილების რევოლუციის დაჩქარებას საქალაქთაშორისო სადგურებით. ის მომხმარებელს სთავაზობს სწრაფი დამუხტვის სერვისების განთავსებას არა მხოლოდ ღია საჯარო ადგილებზე, არამედ მოთხოვნის შემთხვევაში – საცხოვრებელ სახლებსა და ოფისებთან. ახლო მომავალში „გორლე ენერჯი სოლუშენსი“ გეგმავს, გააქტიუროს დამუხტვის სადგურები თურქეთის ყველა რეგიონში და ელექტრომობილებზე არჩევანი გახადოს ხელმისაწვდომი და პერსპექტიული მთელი ქვეყნის მასშტაბით.

აგრეთვე „გორლე ენერჯიმ“ განავითარა ბრენდი სახელწოდებით „ელექტრიფი“ (Electrip), რომელიც ავტომობილების გაზიარების პლატფორმაა და მომხმარებლებისა და დასაქმებულებისათვის ელექტრომობილების მიწოდებას უზრუნველყოფს სტამბოლსა და ესქიშეჰირში. „ელექტრიფი“ პირველი ელექტრომობილების გაზიარების პლატფორმაა თურქეთში და სხვა ავტომობილების გაზიარების პლატფორმებისაგან განსხვავებით, ფლობს ელექტრომობილების პარკს, რომელიც პირდაპირ მიმართულია სუფთა და განახლებადი მომავლის ხელშეწყობისაკენ.



შექერბანკი / ŞEKERBANK

„შექერბანკი“ დაარსდა 1953 წელს ანატოლიაში ასობით ათასი ფერმერი მენარმისა და შაქრის ჭარხლის კოოპერატივის წევრის მიერ იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განვითარებისათვის. ბანკი წარმოადგენს პასუხისმგებლობიანი საბანკო საქმიანობის სანიმუშო მოდელს, რომელიც სადამფუძნებლო მისიის ერთგული დარჩა სამოცდარვა წლის განმავლობაში.

„შექერბანკი“ თაობების მანძილზე მხარს უჭერს ფერმერებს, მცირე ბიზნესს, მცირე და საშუალო საწარმოების მომხმარებლებს მთელი თურქეთის მასშტაბით და თავისი სესხის პორტფელის თითქმის 55% ამ სეგმენტებისთვის აქვს განკუთვნილი. ბანკმა ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფინანსური მონაწილეობით ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებული ფილიალების ქსელის მეშვეობით და განავითარა სათემო ბანკის ინიციატივა – მრავალთა შორის ერთ-ერთი მიღწევა თურქეთის საბანკო სექტორში, რომელიც „შექერბანკის“ დამსახურებაა. მდგრადი საბანკო საქმიანობის მისიის გარდა „შექერბანკი“ ერთ-ერთი პირველი ბანკია, რომელიც ითვალისწინებს თურქეთში დაკრედიტებისას გარემოსდაცვით და სოციალურ ზეგავლენას მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი ორგანიზაციის – საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) რჩევების კვალდაკვალ.

2014 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით განხორციელებული „შექერბანკის“ საოჯახო მეურნეობის საბანკო ინიციატივა მიზნად ისახავს ეკონომიკური მიზნებით ფერმერების მიერ ნაყოფიერი მიწების მიტოვების პრევენციას, სოფლებიდან ქალაქებში მიგრაციის შემცირებას და მემკვიდრეობით მიწის გაყოფისაგან გამონეწეული ზარალის თავიდან აცილებას. ინიციატივის მიზანია სოფლის თემში სამუშაო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის ეკონომიკის გაძლიერებისა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდის გზით. „შექერბანკის“ სათემო საბანკო საქმიანობის მისიის შესაბამისად პროექტი ითვალისწინებს ეკონომიკურ ზრდას დინამიკური სასოფლო-სამეურნეო წარმოების წახალისებით, სოფლის მეურნეობაში მენარმე ქალთა როლის გაძლიერებით, სოფლის განვითარების მხარდაჭერის სერვისების უზრუნველყოფისათვის ამხანაგობების შექმნითა და სოფლად მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობით.

ინიციატივა მიზნად ისახავს, გააუმჯობესოს სოფლის თემში სამუშაო და ცხოვრების პირობები სოფლის ეკონომიკისა და დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერების გზით. ბანკის სათემო საბანკო მისიის შესაბამისად, პროექტი მოიცავს ეკონომიკურ ზრდას დინამიკური სოფლის წარმოების წახალისებით, სოფლის მეურნეობაში მენარმე ქალების როლის გაძლიერებით, პარტნიორობის დამყარებით, სოფლის განვითარების ხელშეწყობის სერვისების შეთავაზებით და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობით.

საოჯახო მეურნეობის საბანკო მომსახურების მეშვეობით „შექერბანკი“, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობაში ენერგოეფექტურობის ზრდას, მეორე მხრივ, ითვალისწინებს დაკრედიტების გარემოსდაცვით და სოციალურ ზეგავლენას. „შექერბანკი“ აფინანსებს პროექტებს, რომლებიც ავითარებენ ისეთ ენერგოეფექტურობას, როგორებიცაა: მზის ენერგოსისტემები, ნარჩენების მართვა და თანამედროვე საირიგაციო მოწყობილობა ხელსაყრელი პირობებით. „შექერბანკის“ თანამედროვე საირიგაციო მოწყობილობის კრედიტმა საშუალება მისცა დაინტერესებულ ფერმერებს, რომ უფრო ეფექტიანად გამოეყენებინათ წყალი და ამით შეემცირებინათ წარმოების ღირებულება სამუშაო ძალისა და ენერჯის დაზოგვის ხარჯზე უკეთესი მოსავლის მისაღებად. პროექტის ფარგლებში 10.4 მილიარდი თურქული ლირის ოდენობის კრედიტი გაიცა და ექვსი წლის განმავლობაში „შექერბანკის“ ჯამურად 123,000 ფერმერულ ოჯახში შეაღწია.

„ეკოკრედი“ (EKOcredi) თურქეთის ენერგოეფექტურობის პირველი საბანკო პროდუქტი, რომელიც განავითარა „შექერბანკმა“, ანალოგიურად უჭერს მხარს ყველა სახის პროექტს, რომელიც ზრდის ენერგოეფექტურობას, ესენია: იზოლაცია, მზისა და ქარის ენერგოსისტემები, ნარჩენების დამუშავება და მართვა, A კლასის ელექტრული მოწყობილობები, ეფექტიანი გამათბობელი და გამაგრილებელი



სისტემები და თანამედროვე სარწყავი მოწყობილობა, ხაზს უსვამს და ასახავს ორგანიზაციის ვალდებულებას მწვანე დაფინანსების მიმართ. „შექვრბანკმა“ 2009 წლიდან მოყოლებული თითქმის 1,2 მილიარდი თურქული ლირის ოდენობის დაფინანსება განახორციელა ეკოკრედიტის მეშვეობით და ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფის მიმართულებით დაფინანსება გაუნია 117,000-ზე მეტ ადამიანს მცირე და საშუალო მენარმეებს, მოვაჭრეებს, ფერმერებს და საცხოვრებელი სახლების მფლობელებს. დაახლოებით 31.2 მილიარდი კილოვატ/საათი ენერგია დაიზოგა და 6.7 მილიონი ტონა CO₂-ის ემისია იქნა თავიდან აცილებული.

„შექვრბანკის“ მიერ ენერგოეფექტურობის მხარდაჭერა არ შემოიფარგლება მხოლოდ სესხის გაცემით, ვრცელდება ასევე სექტორულ ასოციაციებთან თანამშრომლობაზე, როგორც დასაქმების, ასევე ღირსეული სამუშაოს ხელშეწყობის მიზნით. გარდა ამისა, „შექვრბანკი“ თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ქალთა მენარმეობის გაძლიერების თაობაზე სოფლის მეურნეობაში და სოფლად ქალთა მენარმეობის განვითარებას მოიაზრებდა როგორც ბანკის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს ფინანსური ჩართულობის კუთხით. ამ პროგრამამ უზრუნველყო ბოლო ხუთ წელიწადში 17 რეგიონიდან 1,081 პროექტის მიხედვით ქალი მენარმეების დაფინანსება 700 ათასი თურქული ლირის ოდენობით და ხელი შეუწყო 5,000-ზე მეტი ქალი დამსაქმებლის ეკონომიკაში ჩართვას.

აქბანკი / AKBANK

„აქბანკი“ დაარსდა 1948 წელს იმ მიზნით, რომ გამხდარიყო წამყვანი ბანკი, რომელიც თურქეთს მომავლისკენ წაუძღვებოდა. ამ ბანკის მისიაა, შექმნას საუკეთესო და მდგრადი ფასეულობები დაინტერესებულ პირთათვის ინოვაციებისა და სანდო ფინანსური სერვისების მიწოდების გზით. „აქბანკი“ განვითარდა ფინანსური მაჩვენებლების და კეთილგონივრული მართვის მყარ საფუძველზე, მესვეურობდა რა ინოვაციურ ინიციატივებს თურქეთში საბანკო საქმიანობის ავანგარდში და მიისწრაფოდა მდგრადი შემოსავლების მიღებისაკენ.

„აქბანკის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს კორპორაციულ და საინვესტიციო, კომერციულ, მცირე და საშუალო სანარმოების, მომხმარებელთა საბანკო მომსახურებას, ასევე გადახდის სისტემებს, სახაზინო ტრანზაქციებს და, როგორც კერძო, ასევე საერთაშორისო საბანკო მომსახურებას.

გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობისა და მმართველობის ჩარჩოს ფარგლებში პასუხისმგებლობიანი საინვესტიციო გადაწყვეტილებების ხელშეწყობა „აქბანკის“ ძირითადი საქმიანობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. უფრო მდგრადი ეკონომიკის შესაქმნელად „აქბანკი“ აფინანსებს გარდამავალ ეტაპზე მყოფ კომპანიებს. მდგრადი ფინანსური ჩარჩოს ფარგლებში „აქბანკი“ უზრუნველყოფს იმ კომპანიების მდგრად დაფინანსებას, რომლებიც ხელს უწყობენ უფრო მეტად მწვანე, უფრო აყვავებული ეკონომიკის განვითარებას. ჩარჩო ამომწურავად ადგენს წესებს, რომელთა მიხედვითაც სოციალური და მწვანე ეკონომიკის შესაბამისი კრიტერიუმების ხაზგასმით, განსაზღვრულია, თუ რომელი დაფინანსების პროდუქტი შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც მდგრადი, რომელიც დაეხმარება მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას. 2019 წელს განახლებადი ენერჯის თაობაზე პროექტების დაფინანსებით „აქბანკმა“ ხელი შეუწყო 5,8 მლნ ტონა CO₂-ის ემისიის პრევენციას. უფრო მეტიც, რესურსების ეფექტიანი მოხმარების მიზნით ბანკმა დაწერა ციფრული გადაწყვეტილებები და ამით დაზოგა დაახლოებით 27 მილიონი ქალაქის ფურცელი, რაც შეესაბამება დაახლოებით 15 ათასამდე ხეს.

მდგრადი განვითარების ჩარჩოს კვალდაკვალ „აქბანკი“ დამატებით ხელს უწყობს პარტნიორობას მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისათვის, რა მიზნითაც 2021 წლის იანვარში დააფუძნა ორი ფონდი შვილობილ კომპანია „აქპოტფეისთან“ (Akpotfföy) ერთად მდგრად კომპანიებსა და საქმიანობებში ინვესტირების ხელშეწყობისათვის ალტერნატიული ენერჯისა და ჯანდაცვის სექტორის ფონდების განვითარების გზით. „სასტეინალიტიკსთან“ (Sustainalytics) ერთად მდგრადი განვითარების მიზნების დამოუკიდებელ და კორპორაციული მმართველობის კვლევით, სარეიტინგო და ანალიტიკურ ფირმასთან პარტნიორობით „აქბანკი“ ასევე ახორციელებს გარე ანალიზს მეორე მხარის თვალსაზრისის ფორმით „აქბანკის“ მდგრადი ფინანსირების ჩარჩოს თაობაზე.

„აქბანკმა“ ახლახან გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი „არ გასცეს სესხები ქვანახშირის ელექტროსადგურების მშენებლობის პროექტების დასაწყებად“ და დაამატა ეს პროექტები იმ საქმიანობების სიაში, რომლებსაც არ უნევს დაფინანსებას. დაბოლოს, პანდემიის ფონზე, რამაც დამაზიანებელი გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე და გაამძაფრა სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა, „აქბანკს“ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თურქეთის ეკონომიკაში. გარდა იმისა, რომ COVID-19-ის პანდემიის პერიოდში თურქეთის საბანკო სექტორში გამოუშვა პირველი მწვანე ობლიგაცია 50 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ოთხი წლისა და 110 დღის დაფარვის ვადით, „აქბანკმა“ 2021 წლის აპრილში გამოყო 675 მილიონზე მეტი აშშ დოლარის ოდენობის თანხები თურქეთის ეკონომიკის მხარდასაჭერად სინდიკატური სესხის გაახლების გზით. ეს არის „აქბანკის“ პირველი სინდიკატური სასესხო გარიგება, რომელიც დაკავშირებულია გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობისა და მმართველობის სტრატეგიასთან, და აკმაყოფილებს ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა: გენდერული ბალანსი, ქვანახშირის ელექტროსადგურების მშენებლობის პროექტების დასაწყებად სესხის გაცემაზე უარი და ბანკის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯით უზრუნველყოფა, ბანკის უცხოური სესხების გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობისა და მმართველობის სტრატეგიასთან შესაბამისობა. როგორც პირველი სადეპოზიტო ბანკი თურქეთში, რომელმაც აიღო გრძელვადიანი მდგრადი საფინანსო ვალდებულებები, „აქბანკი“ გვგმავს განახორციელოს 200 მილიარდ თურქულ ლირამდე ოდენობის სესხის დაფინანსება და ასევე გაზარდოს, როგორც ეკოლოგიურ და სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული დაფინანსება, ასევე მდგრადი ინვესტირების ფონდები 15 მილიარდი თურქული ლირის ოდენობის სამართავ აქტივებამდე 2030 წლისათვის.

ანადოლუ სიგორთა / ANADOLU SIGORTA

„ანადოლუ სიგორთა“ (ანადოლუ ანონიმ თურქ სიგორთა შირქეთი - Anadolu Anonim Türk Sigorta Şirketi) არის საჯარო სადაზღვევო კომპანია, რომელიც დაარსდა 1925 წელს როგორც პირველი ეროვნული სადაზღვევო კომპანია თურქეთში. თავისი ხანგრძლივი ისტორიის წყალობით კომპანია ცნობილია აგრეთვე როგორც „თურქეთის დაზღვევის სკოლა“. როგორც „იშბანკ ჯგუფის“ (İşbank Group), ერთ-ერთი უმსხვილესი კერძო კომერციული ფინანსური ჯგუფის შვილობილი კომპანიის, „ანადოლუ სიგორთის“ წილების 48% კოტირებულია სტამბოლის საფონდო ბირჟაზე. 2000 წლის მიწურულს 12 მილიარდ თურქულ ლირაზე მეტი ჯამური აქტივით „ანადოლუ სიგორთა“ სათავეში უდგას გზას ციფრული და მდგრადი მომავლისაკენ.

„ანადოლუ სიგორთის“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ბიზნესის მოდელში ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრირება. კომპანიას განხორციელებული აქვს სხვადასხვა ინიციატივები მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მიზნით. „ანადოლუ სიგორთას“ მიაჩნია, რომ მიმდინარე და მომავალში მოსალოდნელ საშიშროებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კლიმატთან დაკავშირებული რისკები და გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები. აქედან გამომდინარე, კომპანია ახორციელებს კლიმატის ცვლილებებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების აღმოსაფხვრელ ინიციატივებს. 2021 წლიდან მოყოლებული „ანადოლუ სიგორთა“ თავის შენობებში იყენებს ელექტრობას, რომლის გენერირებაც ხდება განახლებადი რესურსებიდან და მხარს უჭერს განახლებად ენერჯისა და ელექტროავტომობილებს თავისი პროდუქციის პორტფელის მეშვეობით. გარდა ამისა, 2020 წელს წარმოადგინა რა სახურავის გარე ზედაპირზე დასამონტაჟებელი მზის ფოტოელექტრული პერსონალური სისტემების დაზღვევის პროდუქტები, „ანადოლუ სიგორთამ“ დაიწყო ელექტროავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო მალაზიების ჩართვა თავის ქსელში. კომპანიას დაზღვეული აქვს 745 მგვტ სიმძლავრის ქარის ენერჯის აქტივები და 1.400 მგვტ სიმძლავრის მზის ენერჯის აქტივები, რომელთა საბაზრო წილი შესაბამისად 8.5%-ს და 22%-ს აღწევს. კომპანიამ წლიდან წლამდე თანდათან შეამცირა ასევე სპეციფიკური ენერჯის მოხმარების, CO₂-ის ემისიისა და ქაღალდის მოხმარების მაჩვენებლები. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით ქაღალდის მოხმარება ერთ დასაქმებულზე 67%-ით შემცირდა.

„ანადოლუ სიგორთა“ კარგად აცნობიერებს თავის მისიას, დაიცვას მომხმარებლები კლიმატთან დაკავშირებული რისკებისაგან. კომპანია რეგულარულად აახლებს წყალდიდობისა და მენცრული პროცესების რისკების რუკას და იცავს კლიენტებს ორივე – ფიზიკური და სადაზღვევო რისკებისაგან. „ანადოლუ სიგორთამ“ ასევე შექმნა სისტემა, რომელიც კლიენტებს აფრთხილებს ექსტრემალური კლიმატური მოვლენების შესახებ. მეტიც, „ანადოლუ სიგორთამ“ 2020 წელს დაწერა გარემოს დაცვისა და სოციალური რისკების მართვის სისტემა, რომელიც უარყოფს ისეთ ინვესტიციებს, რომელთაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ გარემოს ან საზოგადოებას.

„ანადოლუ სიგორთის“ კიდევ ერთი უდიდესი მისიაა დაზღვევის თაობაზე ცნობიერების ამაღლება. კომპანიას ღრმად სწამს, რომ დაზღვევის თაობაზე ცნობიერების ამაღლება მოიტანს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, და შესაბამისად, მუშაობს ციფრული სივრცის ათვისებაზე, განსაკუთრებით ახალი თაობის მომხმარებელთა ყურადღების მოსაპოვებლად.



„ანადოლუ სიგორთის“ კიდევ ერთი უდიდესი მისიაა დაზღვევის თაობაზე ცნობიერების ამაღლება. კომპანიას ღრმად სწამს, რომ დაზღვევის თაობაზე ცნობიერების ამაღლება მოიტანს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, და შესაბამისად, მუშაობს ციფრული სივრცის ათვისებაზე, განსაკუთრებით ახალი თაობის მომხმარებელთა ყურადღების მოსაპოვებლად.

333 / WPP


1985 წელს დაარსებული კომპანია მსოფლიოში უმსხვილესი კომუნიკაციების კონგლომერატი და კომუნიკაციების, ექსპერიმენტების, კომერციისა და ტექნოლოგიების სფეროს ლიდერია, რომელსაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქვს სამი ათასი ოფისი, ჰყავს 180 ათასი თანამშრომელი, ხოლო მისი ფინანსური ბრუნვა 46.2 მილიარდ ფუნტს შეადგენს. „ვპპ“-ს შემადგენლობაში შედის სარეკლამო სააგენტოები, მედიასაშუალებების დაგეგმვისა და შესყიდვის კომპანიები, კვლევითი, ციფრული და მობილური სააგენტოები, საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპანიები და ბრენდებისათვის საკონსულტაციო განყოფილებები.

თურქეთის მრეწველობისა და ბიზნესის ასოციაციასთან (TÜS AD) თანამშრომლობით „ვპპ“ გახდა ერთ-ერთი პირველი წევრი, რომელმაც მხარი დაუჭირა ბიზნესის სამყაროს ინიციატივას პლასტმასის წარმოების შემცირების თაობაზე, რათა თავისი წვლილი შეეტანა პლასტმასით გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში. გარემოს დაცვის პოლიტიკის ფარგლებში ახარისხებს ძირითადი სახის ნარჩენებს, ელექტრონულ ნარჩენებსა და საოფისე მოხმარების მასალებს და ასრულებს საკომუნიკაციო აქტივობებს თანამშრომელთა შორის მოხმარების შემცირების მიზნით.

ინოვაციების ფრონტზე „ვპპ“ თურქეთის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს გაეროს გლობალური შეთანხმების მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისათვის ახალგაზრდა ინოვატორთა პროგრამაში, რომელიც იწვევს ახალგაზრდა ტალანტებს ინოვაციური გადაწყვეტილებების შესამუშავებლად ახალი ტექნოლოგიების, ინიციატივების და ბიზნესმოდელების გამოყენებით კომპანიის ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის მიზნების მისაღწევად. როგორც პროგრამის მონაწილემ, „ვპპ“-მ 2019 წლის 9 აგვისტოს გამოაცხადა, რომ უარს ამბობს თავის ოფისებში პლასტმასის გამოყენებაზე. გარდა იმისა, რომ წამყვან მენეჯერულ თანამდებობებზე დასაქმებულებს ჩაუტარდათ ტრენინგი სახელწოდებით „მწვანე საყელო“, კომპანიამ ასევე მოამზადა და გამოაქვეყნა მანიფესტი სათაურით „დგახარ მდგრადი ცხოვრების მომხრე მოხალისეთა რიგებში?“ მანიფესტში აღწერილია აქტივობები და ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც შეუძლიათ „ვპპ“-ის დასაქმებულებს ოფისში, სახლში ან ოფისსა და სახლს შორის მგზავრობისას. „ვპპ“-მ შემოიღო ასევე ძიების სისტემა, რომელიც 2020 წლის ბოლომდე მონიტორინგს უწევს მიწოდების ქსელში პლასტმასის ნარჩენების გადაშენებას, ასევე განახორციელა 2020 წელს გამოყენებული პლასტმასის მასალების ინვენტარიზაცია. მსოფლიოს დასუფთავების დღის ფარგლებში „ვპპ“-ის თურქეთის 50 თანამშრომელმა 300 საათი დაუთმო 1.5 ტონა ნაგვის, უმთავრესად, პლასტმასის ნარჩენების შეგროვებას, რათა რამდენიმე მუნიციპალიტეტთან ერთად გადაემუშავებინათ. ამგვარმა ინიციატივებმა „ვპპ“-ს საშუალება მისცა, 2019 წელს გადაემუშავებინა 750 კგ ელექტრონული და 8.5 ტონა ქაღალდის, ხოლო 2020 წელს – 3.5 ტონა ქაღალდის ნარჩენი.

„ვპპ“-ის ინიციატივებს შედეგად მოჰყვა CO₂-ის ემისიის შემცირება კვადრატულ მეტრზე 24%-ით, ერთ სულ მოსახლეზე კი – 39%-ით. „ვპპ“-ის მიზანია გახდეს მისაბაძი მაგალითი მრეწველობისათვის ისეთი პროექტების განხორციელების გზით, რომლებიც დადებით გავლენას მოახდენს გარემოზე, იგულისხმება, როგორც სამუშაო ადგილები, ასევე სახლები, სადაც დასაქმებულები და მომწოდებლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ „ვპპ“-ის მდგრადი განვითარების მიმართულებით.





უკრაინა



კაპაროლი / CAPAROL

„კაპაროლი უკრაინა“ (Caparol Ukraine) არის გერმანული კომპანია „დავ სეს“-ის (DAW SE) შვილობილი კომპანია 125-წლიანი ისტორიით. „კაპაროლის“ მიზანია უზრუნველყოს უსაფრთხო და ენერგოეფექტური მშენებლობა.

„კაპაროლმა“ თავისი წვლილი შეიტანა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში პროექტით „თბილად. ლამაზად. საიმედოდ.“ უკრაინაში განხორციელებული ეს პროექტი ხელს უწყობს ენერგოეფექტური მშენებლობის და გრძელვადიანი თბოიზოლირებული ფასადის სისტემების, როგორც კომპლექსური თერმული მოდერნიზების პროგრამის ნაწილის, განვითარებას. გარდა იმისა, რომ პროექტი გავლენის მოხდენას ცდილობდა საზოგადოებაზე, არჩევანი შეეჩერებინათ მწვანე და სუფთა გადაწყვეტილებებზე, ასევე ბრძოლა ცნობადობას, ამყარებდა კავშირებსა და ამოკლებდა „კაპაროლის“ მინოდების ჯაჭვს.

კომპანიის მიერ ჩატარებულ ტრენინგპროგრამებში, რომლებიც განკუთვნილი იყო დასაქმებულებისთვის, პარტნიორებისთვის, დიზაინერებისთვის, ენერგოაუდიტორებისთვის, სხვა მშენებელი სპეციალისტებისთვის და შეეხებოდა უკრაინასა და გერმანიაში ენერგოეფექტური გადაწყვეტილებების არჩევასა და გამოყენებას, 7 მილიონზე მეტი ადამიანი მიიღო მონაწილეობა და ტრენინგი გაიარა 6,200 მონაწილემ. პროექტს მხარდაჭერას უწევდა „კაპაროლის“ საინფორმაციო და საკომუნიკაციო რესურსები, ასევე ეროვნული მასმედია და სხვა ინიციატივები. მეტიც, „კაპაროლმა“ გააძლიერა პროექტის ზეგავლენა პარტნიორული ურთიერთობების დამყარებით ისეთ სახელმწიფო დაწესებულებასთან, როგორცაა უკრაინის ენერჯის ეფექტიანობისა და ენერჯის დაზოგვის სახელმწიფო სააგენტო, და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ)), სკანდინავიის გარემოს დაცვის საფინანსო კორპორაციასთან (the Nordic Environment Finance Corporation (NEFCO)), საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (International Finance Corporation (IFC)), და გერმანიის ენერჯეტიკის სააგენტოსთან (Deutsche Energie-Agentur (DENA)). მომსახურების გახანგრძლივების მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში „კაპაროლმა“ სხვა დაწესებულებებთან ერთად იმისათვის, რომ მოეხდინა მათი სასიცოცხლო ციკლის ოპტიმიზება და შესაბამისად შემცირებინა ნარჩენების დაგროვება, შეაფასა თავისი პროდუქციის რისკები და სასიცოცხლო ციკლის ღირებულება, მათ შორის, იმ მასალების, რომლებიც გამოიყენება სითბოს შთანთქმისა და გამოყოფისათვის.

შედეგად, როგორც თერმული მოდერნიზაციის ნაწილი, „კაპაროლმა“ განავითარა რამდენიმე პრინციპი მინოდების ჯაჭვის შესამცირებლად. 2019 წელს „კაპაროლმა“ დაწერა წარმოების ახალი საშუალებები, რომლებითაც მზადდებოდა მშრალი ნარევი ფასადის საიზოლაციო სისტემები უკრაინაში და გერმანიიდან უკრაინაში გადმოიტანა თავისი ქარხნის ნაწილი, რომელიც ამზადებდა დამცავ და დეკორატიულ მასალებს ფასადების საიზოლაციო სისტემებისათვის, რათა უზრუნველყო პროდუქციის მუდმივი ხელმისაწვდომობა უკრაინის ტერიტორიაზე განთავსებულ საწყობებში. უფრო მეტი, „კაპაროლმა“ გაამართივა თავისი სამუშაო პროცესები მასალების შესაძენად საჭირო ელექტრონული დოკუმენტებისა და ონლაინსერვისების დაწერვით. შედეგად „კაპაროლმა“ მინოდების დრო 20%-ით შეამცირა. „კაპაროლის“ კომპლექსური თერმული მოდერნიზაციის პროგრამის წყალობით შენობათა მეპატრონეებმა დაზოგეს 22,4 მლნ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, რამაც CO₂-ის ემისია 2015-2020 წლებში 30%-ით შეამცირა.

„დტეკ“-ი უმსხვილესი კერძო ინვესტორია უკრაინის ენერჯოსექტორში. მისი კომპანიები ჩართულები არიან ქვანახშირისა და ბუნებრივი გაზის მოპოვებაში, ქარის, მზისა და პლანეტების თერმული ენერჯიდან ელექტრობის გენერირებაში. „დტეკ“-ი მონაწილეობს ასევე ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე ენერჯორესურსებით ვაჭრობაში, მომხმარებელთათვის ელექტროენერჯის დისტრიბუციასა და მიწოდებაში, ენერჯოეფექტურობის სერვისების უზრუნველყოფაში, და მაღალსიჩქარიანი დასამუხტი მონეობილობების ქსელის განვითარებაში.

მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად „დტეკ“-ს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ენერჯის ტრანსფორმაციაში, კონკურენტუნარიანი ბაზრისა და ენერჯოდამოუკიდებლობის განვითარებაში. მან შექმნა უფრო ინკლუზიური სამუშაო ძალისა და ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რომელიც არავის რიყავს.

„დტეკ“-ი მოქმედებს, როგორც არა მხოლოდ ენერჯოსექტორის თანდათანობითი განვითარების კატალიზატორი, არამედ აჩქარებს მარეგულირებელი, ტექნიკური, კომერციული და ლოგისტიკური ღონისძიებების დანერგვას მრეწველობის ზრდისთვის, განსაკუთრებით უკრაინის პირველი სამრეწველო ენერჯის შემნახველი სისტემის (ESS) აწყობით. ეს სისტემა შექმნილია ელექტროქსელში ენერჯის დაგროვების, შენახვისა და მიწოდებისათვის, ასევე ენერჯოსისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის, რადგანაც უზრუნველყოფს ელექტროენერჯის საჭირო ხარისხს.



მეტეც, „დტეკ“-ს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უკრაინის მწვანე ენერჯის მრეწველობაში თავისი მოქმედი კომპანიის „დტეკ რინიუებლსის“ (DTEK Renewables) მეშვეობით, რომელიც უკრაინის უმსხვილესი ინვესტორია მწვანე ენერ-

ჯის სფეროში. უკრაინის ენერჯოსტრატეგიის თანახმად, კომპანიის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს განახლებადი ენერჯის წყაროების წილის ზრდას ქვეყნის მთლიან ენერჯეტიკაში. დღესდღეობით „დტეკ“-ის მწვანე პორტფელი მოიცავს 1 გიგავატი მზის და ქარის ენერჯის, რომელიც უდრის დაახლოებით 3.125 მილიონ ფოტოელექტრულ პანელს ან 412 ქსელურ ქარის ტურბინას. მისი პორტფელი შეიცავს 80 დასრულებულ პროექტს სამრეწველო და საბიუჯეტო სფეროებში, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ელექტროენერჯის წლიური მოხმარება შეამციროს 157 კვტ/სთ-ით, ბუნებრივი აირის მოხმარება კი – 1.1 კუბური მეტრით. 2020 წელს კომპანიამ განახორციელა ენერჯომომსახურების შვიდი პროექტი, რომელთა შედეგად ენერჯის წლიურმა დანაზოგმა 29 მილიონ კვტს შეადგინა, და ასევე ენერჯოეფექტურობის ორი პროექტი საჯარო სექტორში, რომლის შედეგად ენერჯის წლიური დანაზოგი 476 კვტს-ს გაუტოლდა. დაბოლოს, „დტეკ“-ის მწვანე ელექტროსადგურებმა CO₂-ის ემისია წლიურად 2 მილიონი ტონაზე მეტით შეამცირეს.

ეროვნულ ენერჯოსისტემასთან დაკავშირებული ამგვარი პროექტებით ჩნდება სუფთა, გარემოს დაცვის მიმართ კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემოს შექმნისაკენ მიმართული მნიშვნელოვანი პროგრესი უკრაინაში, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „დტეკ“-ის მდგრად განვითარებაზე გადასვლის საქმეში. მათი ახალი 2030 წლის სტრატეგიის მიხედვით „დტეკ“-ი ცდილობს, გახდეს უფრო ეფექტიანი, ეკომეგობრული და ტექნოლოგიურად განვითარებული კომპანია, რომელიც ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების მიზნების პრინციპებით და მიზნად აქვს დასახული, მიაღწიოს ნახშირბადის ნეიტრალობას 2040 წლისათვის.



ფარმაკი / FARMAK

„ფარმაკი“ დიდი ფარმაცევტული კომპანიაა უკრაინაში, რომელსაც 95-წლიანი ისტორია აქვს, და მისი პორტფელი 130-ზე მეტ პროდუქტს ითვლის.

კომპანია ყოველწლიურად თავისი შემოსავლების 95%-ზე მეტს ხელახლა აბანდებს განვითარებაში. თანამედროვე ტექნოლოგიების, განვითარებული მონაცემობების, ასევე კომპანიის წარმოებასა და მართვაში ინოვაციური მიდგომების დანერგვა „ფარმაკის“ მრავალწლიანი იდეოლოგიის ნაწილს და მის უმთავრეს კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს.

მდგრადი განვითარების ჩარჩოს შესაბამისად, „ფარმაკმა“ დააფუძნა ეკოსკოლა – სასწავლო ონლაინპლატფორმა ბავშვებისათვის გარემოს დაცვის საკითხებზე, სადაც რეგისტრირებულია 1.200 სტუდენტი მთელი უკრაინის მასშტაბით. ეკოსკოლის მიზანია, გააერთიანოს და შექმნას გარემოსდამცველ ახალგაზრდა აქტივისტთა საზოგადოება, ახალგაზრდებში დანერგოს გარემოს დაცვის მიმართ კეთილგანწყობილი ცხოვრების წესი და გაზარდოს ცნობადობა რესურსებისა და ენერჯის ეფექტიანობის თაობაზე.

ეკოსკოლის თითოეულ სტუდენტს შეუძლია, ისწავლოს უახლესი საერთაშორისო მეთოდების შესაბამისად, მიიღოს საფუძვლიანი ცოდნა მდგრადი განვითარების შესახებ. სასწავლო პროგრამის მიხედვით ლექციების თემატიკაა: ენერჯის ეფექტიანობა და მისი გავლენა პლანეტის კლიმატის ცვლილებებზე. კურსის განმავლობაში სტუდენტები ხვდებიან უკრაინელ მაღალკვალიფიციურ ექსპერტებს, რომლებიც მათ თავიანთ ცოდნას უზიარებენ. ეკოსკოლაში სწავლების მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს ეკოგრანტებისათვის ეკოპროექტების მომზადება. სტუდენტები სწავლობენ პროექტების მართვის საფუძვლებს, რათა საკონკურსო აუქციონის წარუდგინონ თავიანთი იდეები. სააქციო საზოგადოება „ფარმაკი“ გამოყოფს ფინანსურ მხარდაჭერას გამარჯვებული პროექტების განსახორციელებლად. 25-ზე მეტი ქალაქი, დასახლება და სოფელი იღებდა მონაწილეობას გრანტების ფინანსურ კონკურსში 2020 წელს და 12 პროექტი დაფინანსდა. პროექტები შეეხებოდა წყლისა და ნარჩენების მართვას, სუფთა და მწვანე გადანყვებილებს, მდგრადი განვითარების გადანყვებილებების სწავლებას, ეკოლოგიასა და ენერგოეფექტურობას.



კასუხისმგებლობაზე უარის თქმა

წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემული კომპანიების დასახელება ან/და მაგალითები განკუთვნილია მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის და არ ნიშნავს ცალკეული კომპანიების მხარდაჭერას გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ. სიტუაციური მაგალითები შეგროვდა გაეროს გლობალური შეთანხმების ადგილობრივი ქსელების მიერ, რომლებიც დამოუკიდებელ და თვითმმართველ ერთეულებს წარმოადგენენ და მუშაობენ ქვეყნის დონეზე გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივისა და მისი ათი პრინციპის მხარდასაჭერად.

საავტორო უფლება © 2021

პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მასალა დაცულია საავტორო უფლებით. გაეროს გლობალური შეთანხმება მხარს უჭერს შინაარსის გავრცელებას საგანმანათლებლო მიზნით. პუბლიკაციაში მოცემული შინაარსის გამოყენება შესაძლებელია წინასწარი ნებართვის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ მკაფიოდ იქნება მითითებული წყარო – გლობალური შეთანხმება და თუ შინაარსი არ იქნება გამოყენებული კომერციული მიზნით.

დანართი:

კომპანიები, რომლებიც იღებენ ზომებს მეცნიერულად დასაბუთებული მიზნების
ინიციატივისა და ბიზნესის 1,5°C მიზნის კამპანიის ფარგლებში
(2021 წლის ივნისის მდგომარეობით)

დასახელება	სექტორი	ქვეყანა	გაეროს გლობალური შეთანხმება მონაწილეობის დონე	ბიზნესის მიზანი 1.5C	SBTi სტატუსი
Heinz Glas Dzialdowo Sp Z.o.o.c	კონტეინერები და შეფუთვა	პოლონეთი	არა		ვალდებულება
JMB Wind Engineering	ხე-ტყე და ქალაქის პროდუქტები	პოლონეთი	არა		ვალდებულება
Żabka Polska Sp. z o. o.	საკვები და სტეპლერები საცალო ვაჭრობა	პოლონეთი	ხელმომწერი		ვალდებულება
Arkhangelsk Pulp and Paper Mill	ხე-ტყე და ქალაქის პროდუქტები	რუსეთი	არა		ვალდებულება
EN+ GROUP IPJSC	სამთო მოპოვება: რკინა, ალუმინი, სხვა მეთალები	რუსეთი	მონაწილე	დიახ	ვალდებულება
PJSC PhosAgro	ქიმიკატები	რუსეთი	მონაწილე		
PJSC Tatneft	ნავთობი და გაზი	რუსეთი	მონაწილე	დიახ	ვალდებულება
X5 Retail Group	საკვები და სტეპლერები საცალო ვაჭრობა	რუსეთი	მონაწილე		ვალდებულება
Abdi Ibrahim Ilac Sanayi ve Tic. AS	ფარმაცევტული პროდუქცია და ბიოტექნოლოგიები	თურქეთი	ხელმომწერი		ვალდებულება
Albaraka Türk Participation Bank	ბანკები, სხვადასხვა ფინანსური პროდუქტი და დამღვევა	თურქეთი	არა		ვალდებულება
ARÇELİK A.Ş.	სამომხმარებლო და ხანგრძლივი მოხმარების პროდუქტები	თურქეთი	არა		ამოცანები დასახულია
Eti Soda A.S.	ქიმიკატები	თურქეთი	ხელმომწერი		
KAYSERİ ULAŞIM A.Ş.	სახმელეთო ტრანსპორტი და რკინიგზა	თურქეთი	არა		ამოცანები დასახულია
Kazan Soda Elektrik Üretim A.S.	ქიმიკატები	თურქეთი	ხელმომწერი		ვალდებულება
T.GARANT_ BANKASI A....	ბანკები, სხვადასხვა ფინანსური პროდუქტი და დამღვევა	თურქეთი	არა		ვალდებულება
TSKB	ბანკები, სხვადასხვა ფინანსური პროდუქტი და დამღვევა	თურქეთი	მონაწილე		ვალდებულება
Türkiye Garanti Bankası A.S.	ბანკები, სხვადასხვა ფინანსური პროდუქტი და დამღვევა	თურქეთი	მონაწილე		ვალდებულება
Türkiye İş Bankası	ბანკები, სხვადასხვა ფინანსური პროდუქტი და დამღვევა	თურქეთი	მონაწილე		ვალდებულება
Türkiye Sınai Kalkınma Bankası (TSKB)	ბანკები, სხვადასხვა ფინანსური პროდუქტი და დამღვევა	თურქეთი	მონაწილე		ვალდებულება
Uludağ İçecek	საკვებისა და სასმელის დამუშავება	თურქეთი	არა		ვალდებულება
VakifBank	ბანკები, სხვადასხვა ფინანსური პროდუქტი და დამღვევა	თურქეთი	მონაწილე		ვალდებულება

გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპი

ადამიანის უფლებები

- 1 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს და პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს.
- 2 ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებების დარღვევის თანამონაწილე.



შრომითი უფლებები

- 3 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას და აღიაროს უფლება კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ.
- 4 უნდა აღკვეთოს იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმა.
- 5 უნდა ეფექტურად აღკვეთოს ბავშვთა შრომა.
- 6 უნდა გამორიცხოს დისკრიმინაცია დასაქმების ეტაპზე და თანამშრომლების მიმართ.



გარემოს დაცვა

- 7 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს პრევენციულ მიდგომას გარემოსდაცვითი გამოწვევებისადმი.
- 8 თავის თავზე უნდა აიღოს ინიციატივები და ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებას.
- 9 უნდა წახალისოს გარემოსთვის არამავნე ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება.



კორუფციასთან ბრძოლა

- 10 ბიზნესმა უნდა იმუშაოს კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, ფულის გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.

გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპები ეფუძნება: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების დეკლარაციას, გარემოსა და განვითარების შესახებ რიოს დეკლარაციასა და გაეროს კონვენციას კორუფციის წინააღმდეგ.

გაეროს გლობალური შეთანხმების შესახებ

გაეროს გენერალური მდივნის ინიციატივა, გაეროს გლობალური შეთანხმება მოუწოდებს მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მყოფ კომპანიებს ოპერაციები და სტრატეგიები თანხვედრაში მოიყვანონ ათ პრინციპთან ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებების, გარემოს დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში. ჩვენი მიზანია დავაჩქაროთ და გავაძლიეროთ ბიზნესის გლობალური ერთობლივი გავლენა ათი პრინციპის დაცვისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გზით ანგარიშვალდებული კომპანიებისა და ეკოსისტემების საშუალებით, რომლებიც ცვლილებების შესაძლებლობას ქმნიან. 12,000-ზე მეტი კომპანიით, 3,000 არასამეწარმეო ხელმოწერილი შირით 160-ზე მეტ ქვეყანაში და 69 ადგილობრივი ქსელით, გაეროს გლობალური შეთანხმება არის მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივა – ერთი გლობალური შეთანხმება, რომელიც აერთიანებს ბიზნესს უკეთესი მსოფლიოსთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გამოიწერეთ @globalcompact სოციალურ მედიაში და ესტუმრეთ ჩვენს ვებ-გვერდს მისამართზე unglobalcompact.org.



United Nations
Global Compact

© 2021 United Nations Global Compact
685 Third Avenue New York, NY 10017, USA